თარგმანი:

- თამარ მამულაშვილი
- ცხრაწყაროელი

ჰაროლდ პინტერი
„ღალატი“

ეძღვნება საიმონ გრეის

მოქმედი პირნი: ემა, ჯერი, რობერტი, ოფიციანტი

1977 წელს ემა 38 წლისაა, ჯერი და რობერტი - 40-40-ის

პიესა შეიძლება მიმდინარეობდეს ანტრაქტის გარეშე, ან მოკლე შესვენებით მეოთხე სცენის შემდეგ.

1977 წელი

სცენა პირველი

ლუდის ბარი. 1977. გაზაფხული. შუადღე.

ემა ზის კუთხეში მაგიდასთან. უახლოვდება ჯერი. დგამს კათხას თავისთვის და ჭიქა ღვინოს ემასთვის. ჯდება. ისინი იღიმებიან, უსიტყვოდ.

სწევენ სასმისებს მაღლა, სვამენ.

ჯერი გადაესვენება სკამის ზურგზე და უმზერს ემას.

ჯერი: მაშ ასე…

ემა: რას შვრები?

ჯერი: არა მიშავს.

ემა: კარგად გამოიყურები.

ჯერი: ისე კი მაინცდამაინც ვერ ვარ კარგად.

ემა: ხო? რა გჭირს?

ჯერი: ნაბახუსევი ვარ.

სწევს კათხას

გაგვიმარჯოს!

სვამს

თავად როგორ გიკითხო?

ემა: მშვენივრად.

მოათვალიერებს დარბაზს . გადააქვს მზერა ჯერიზე.

ყველაფერი ისევ ისეა, როგორც უწინ.

ჯერი: ხოო. დიდი ხანია გასული მას მერე.

ემა: დიდი.

პაუზა

მე კი სწორედ ამ დღეებში გამახსენდი.

ჯერი: ღმერთო ჩემო! რას მივაწეროთ ვითომ ეს?

ემა იღიმება

მაინც რას?

ემა: ისე, სასიამოვნოა დროდადრო წარსულის გახსენება. მეთანხმები?

ჯერი: ეს ნამდვილად ასეა.

პაუზა

ისე მაინც რას შვრები, როგორ მიდის საერთოდ საქმეები?

ემა: არა უშავს.

პაუზა

იცი, რა ხანია, არ შევხვედრივართ?

ჯერი: ჰმმ, მას მერე, რაც მე მოვედი იმ დახურულ ჩვენებაზე, მოიცა, ეს როდის …

ემა: არა, მე ეს არ მიგულისხმია.

ჯერი: ააა, შენ გინდა თქვა - ბოლოს როდის განვმარტოვდით?

ემა: ხო.

ჯერი: ო-ხო-ხო.

ემა: ორი წელია.

ჯერი: ხო, ალბათ, ასეა.

პაუზა

ემა: ვკოცნი მარადისობას!

ჯერი: ხო, კარგა ხანია.

პაუზა

მაინც როგორ მიდის საქმეები? რას შვრება შენი გალერეა?

ემა: შენ მოგწონს ჩემი გალერეა? რას იტყვი?

ჯერი: კარგი გალერეაა. შეიძლება ითქვას - ძალიან კარგი.

ემა: მიხარია, შენ ასე რომ ფიქრობ. ეს ასეცაა. მე მომწონს ეს სამუშაო.

ჯერი: ცოტა ვერ არიან მხატვრები, ხომ?

ემა: სულაც არა

ჯერი: მართლა? მე ვფიქრობ, რომ ეს მოსაწყენია.

პაუზა

რობერტი რას შვრება?

ემა: შენ როდის ნახე ის ბოლოს?

ჯერი: რამდენიმე თვეა, რაც არ მინახავს. არც კი ვიცი, რა ხდება მასთან. რატომ მეკითხები?

ემა: რას ჰქვია, რატომ?

ჯერი: რატომ მკითხე?

ემა: უბრალოდ, ისე. რას შვრება შენი სემი?

ჯერი: შენ გინდოდა გეკითხა, როგორაა ჯუდიტი?

ემა: ვითომ?

ჯერი: შენ ხომ გახსოვს ჩვენი რიტუალი. მე გეკითხები, როგორაა შენი ქმარი, შენ მეკითხები, როგორაა ჩემი ცოლი.

ემა: ხო, რა თქმა უნდა. მაშ, როგორაა შენი ცოლი?

ჯერი: კარგად.

პაუზა

ემა: სემი ალბათ უკვე … დიდია.

ჯერი: დიდია. მთლად დიდია. გრძელ დისტანციებზე სირბილით არის გატაცებული. ზოოლოგობაზე ოცნებობს.

ემა: მართლა? ეს მშვენიერია. სარა როგორაა?

ჯერი: მას 10 შეუსრულდა.

ემა: ღმერთო ჩემო! თუმცა, ასეც უნდა იყოს.

პაუზა

ჯერი: ასეცაა.

პაუზა

ნედი ხუთისაა, ხომ?

ემა: გახსოვს, ესე იგი …

ჯერი: ეს კი ნამდვილად მახსოვს.

პაუზა

ემა: ხოო.

პაუზა

მაშ შენკენ ყველაფერი რიგზეა?

ჯერი: ჰმ, … ჰმ, კი, რა თქმა უნდა.

პაუზა

ემა: როდისმე თუ გახსენდები?

ჯერი: მე სულ არ მჭირდება შენი გახსენება.

ემა: ა, ასეა?

ჯერი: გახსენება არ მჭირდება. მ ა ხ ს ო ვ ხ ა რ.

პაუზა

საერთოდ ჩემკენ ყველაფერი რიგზეა. შენკენ?

ემა: კარგად, მართლა ყველაფერი კარგადაა. ყველაფერი რიგზეა.

ჯერი: მშვენივრად გამოიყურები. მოკოხტავებულად.

ემა: მართლა? გმადლობ. ისე კი მსიამოვნებს, შენ რომ გხედავ.

ჯერი: მეც. იმ აზრით, რომ გხედავ.

ემა: ზოგჯერ მაინც თუ გახსენდები?

ჯერი: კი, ზოგჯერ მახსენდები.

პაუზა

შენს შარლოტას შევხვდი.

ემა: შეუძლებელია! სად? მას რომ არაფერი უთქვამს.

ჯერი: მან ვერ დამინახა. ეს ქუჩაში იყო.

ემა: შენ ხომ იგი ამდენი წელი არ გინახავს.

ჯერი: და მაინც ვიცანი.

ემა: როგორ? როგორ იცანი?

ჯერი: აი ასე, ვიცანი.

ემა: მერე, რას იტყვი?

ჯერი: შენი ხატია, გამოსახული.

ემა: მართლა, სერიოზულად, რა გაიფიქრე მასზე?

ჯერი: მე გავიფიქრე, რომ ის მშვენიერია.

ემა: ხო. ის მეტად … ის უბრალოდ ძალიან დიდია. ის ხომ უკვე ცამეტისაა.

პაუზა

გახსოვს, ერთხელ … ღმერთო, როგორ იყო ეს ყველაფერი … გახსოვს, როგორ აიყვანე ის ხელში, ააგდე და შემდეგ დაიჭირე?

ჯერი: ის ძალიან მსუბუქი იყო.

ემა: იცი, იმასაც ახსოვს.

ჯერი: შეუძლებელია.

ემა: ხო … როგორ ააგდეს ჰაერში.

ჯერი: აი, მეხსიერება!

პაუზა

იცის რაიმე ჩვენზე, ა?

ემა: რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ ახსოვხარ შენ - შენ ჩვენი ძველი მეგობარი ხარ.

ჯერი: ხოდა ძალიან კარგი.

პაუზა

ხო, მახსოვს, ყველამ როგორ მოვიყარეთ თავი იქ იმ დღეს, ყველა ირგვლივ იდგა - შენი ქმარიც, ჩემი ცოლიც, და ჩვენი ყველა ბავშვიც.

ემა: რომელ დღეს?

ჯერი: როცა მე ის ზევით ავაგდე. თქვენთან სამზარეულოში.

ემა: ეს თქვენთან იყო სამზარეულოში.

ხანგრძლივი პაუზა

ჯერი: ემა, ძვირფასო…

ემა: ნუღარ გააგრძელებ, არ გინდა!

პაუზა

ეს ასე იყო…

ჯერი: მეჩვენება, რომ ეს ყველაფერი ისე დიდი ხნის წინ იყო!

ემა: შენ ასე გეჩვენება?

ჯერი: გავიმეოროთ?

იღებს კათხას და ჭიქას, მიდის დახლთან. ემა გაუნძრევლად ზის. ის ბრუნდება, დგამს მაგიდაზე ღვინოსა და ლუდს, ჯდება.

ემა: მე როგორღაც გამახსენდი ამ დღეებში.

პაუზა

მანქანით კილბერნზე მომიწია გავლა და უცებ შევამჩნიე, სად ვარ. მანქანა გავაჩერე, შემდეგ გადავუხვიე კინსეი-დრაივისკენ და გავედი უესეკს-გროუვზე. გვერდზე ჩავუარე ჩვენს სახლს და გავჩერდი 50 მეტრით იქით; ჩვენ ხომ ყოველთვის ასე ვიქცეოდით, გახსოვს?

ჯერი: კი.

ემა: ჩვენი სახლიდან უცნობი ხალხი გამოვიდა. ქუჩას გაუყვნენ.

ჯერი: რა ხალხი?

ემა: ისე … ახალგაზრდები. მე მანქანიდან გადმოვედი და ავედი სადარბაზოს წინა დერეფანში. ზარების ღილაკები შევათვალიერე, ყოველი ღილაკის გასწვრივ გვარები რომაა. ჩვენს გვარს ვეძებდი.

პაუზა

ჯერი: გრინი

პაუზა

და ვერ იპოვე, ხომ?

ემა: ხო

ჯერი: იმიტომ, რომ ჩვენ იქ აღარ ვართ. ჩვენ ხომ დიდი ხანია, აღარ ვართ იქ.

ემა: ხო, ძალიან დიდი ხანია.

პაუზა

ჯერი: რაღაცას მოვკარი ყური. ეს მართალია, რომ შენ კეისს ხვდები?

ემა: რაზე ლაპარაკობ?

ჯერი: დიახ, კეისზე. უბრალოდ მე გავიგე, რომ შენ … რომ შენ ზოგჯერ ხვდები მას.

ემა: ეს საიდან მოიტანე?

ჯერი: რა ვიცი, ხალხი ასე ლაპარაკობს.

ემა: ღმერთო, მოწყალეო!

ჯერი: და უცნაური რამ არის: როცა მე ეს გავიგონე, გავბრაზდი, უბრალოდ იმან გამაბრაზა, რომ ჩვენზე იმ დროს არავინ ჩურჩულებდა, მე სულ ერთი სული მქონდა მეთქვა: რეებს ჰყვებით, რა მოხდა, დაჯდა იქნებ ერთი-ორჯერ ბარში იმ კეისთან, ვისი რა საქმეა, აი, მე მასთან მთელი 7 წელი მქონდა რომანი, თქვენ კი, ბრიყვებო, ერთ თქვენთაგანსაც კი წარმოდგენა არ ჰქონდა ამაზე.

პაუზა

ემა: ამ დროს საინტერესოა … ვთქვათ - და ვინმემ იცოდა ჩვენ შესახებ მთელი ეს წლები.

ჯერი: აბსურდია. მე და შენ ჩვენს სიმაღლეზე ვიყავით, ეს არავინ იცოდა. და საერთოდ ვინ დადიოდა იმ დროს კილ ბერნში? მხოლოდ მე და შენ.

პაუზა

მაინც რა გაკავშირებს იმ კეისთან?

ემა: შენ რას გულისხმობ?

ჯერი: რა ხდება თქვენ შორის?

ემა: რამდენიმეჯერ ბარში ვისხედით.

ჯერი: მე კი მეგონა, რომ შენ არ იყავი მაღალი აზრის მის წიგნებზე.

ემა: მე შევიცვლე აზრი, ან მისი წიგნები შეიცვალნენ. შენ ეჭვიანობ?

ჯერი: ვიზე?

პაუზა

მე არ შემიძლია კეისზე ვიეჭვიანო. მე მისი ლიტერატურული აგენტი ვარ. მე მას რჩევებს ვაძლევდი, როცა ის გაყრას აპირებდა. მე ვკითხულობდი მისი ხელნაწერების ყველა შავ პირს. ეს მე დავარწმუნე შენი ქმარი, კეისის პირველი რომანი გამოეცა. მე ვარ მისი თანმხლები ოქსფორდში, როცა ის სტუდენტთა საზოგადოების წინაშე გამოდის. ის … ჩემი შვილობილია. მე აღმოვაჩინე ის, როცა ის ჯერ კიდევ პოეტი იყო, ეს ეშმაკმა იცის, როდის იყო.

პაუზა

ის მე საუთჰემპტონშიც დამაწოწიალებდა მამამისისა და დედამისის გასაცნობად. ასე რომ, მე არ შემიძლია კეისზე ეჭვიანობა. და საერთოდ, მე და შენ ხომ საერთო აღარაფერი გვაქვს, არა? ჩვენ მთელი საუკუნეა ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ. ასე რომ, თუ შენ კარგად ხარ, მე ეს მახარებს, ღმერთმანი.

პაუზა

რობერტი რას შვრება?

ემა: იცი რა … მე და ის, ალბათ, დავშორდებით.

ჯერი: ოხო?

ემა: ჩვენ ხანგრძლივი საუბარი გვქონდა. წუხელ.

ჯერი: ღამე?

ემა: და წარმოგიდგენია, რა შევიტყვე მე …, წუხელ? რომ ის მღალატობდა მე მრავალი წელი. მას ჰყავდა სხვა ქალები.

ჯერი: შეუძლებელია! აი, საოცრება, თუ გინდა!

პაუზა

მაგრამ ჩვენც ხომ ვატყუებდით მას მრავალი წელი.

ემა: ჰო და ისიც, თურმე ისიც - მატყუებდა მე მრავალი წელი.

ჯერი: და მე არაფერი ვიცოდი.

ემა: მეც არაფერი ვიცოდი.

პაუზა

ჯერი: კეისმა იცის ეს?

ემა: იქნებ შენ შეწყვიტო მისი გვარით მოხსენიება. მას როჯერი ჰქვია.

ჯერი: ხო, როჯერმა.

ემა: მე სწორედ შენ დაგირეკე. ისიც არ ვიცი - რატომ.

ჯერი: მაინც როგორი უცნაურია, მე და ის ისეთი მეგობრები ვიყავით, გახსოვს? მე და რობერტი… მე ამ ბოლო ხანებში, მართალია, ის არ მინახავს, მაგრამ ადრე ხომ, მთელი წლები, ჩვენ ერთად ვსვამდით, რამდენჯერ ერთად გვისადილია … და ერთხელაც კი თავში აზრადაც არ მომსვლია … მცირე ეჭვიც არ გამჩენია … რომ მას ვინმე ჰყავს. ვინმე, შენ გარდა. არასოდეს. ასე არაა? დავუშვათ, როცა ზიხარ ახლობელთან ერთად ბარში ან, დავუშვათ, რესტორანში და ის მაინცდამაინც ადგება და გასხლტება, დავუშვათ, ტუალეტში - თავად იცი, როგორ ხდება ხოლმე - მაშ, მე იმას ვგულისხმობ, რომ თუ ის გასხლტება ტუალეტში, და ამასთან დაურეკავს ვინმეს მალულად, რა ქნას, სჭირდება მას ერთი-ორი სიტყვა, რომლის შესახებაც შენ არაფერი უნდა იცოდე, თითქოს შენ მის ამ ფარულ ზარს როგორღაც გრძნობ, ამჩნევ, მეტიც, თითქოსდა გესმის კიდევაც ეს ზარები: დუ-უ, დუ-უ, დუ-უ. არა, რობერტთან ეს მე არასდროს მიგრძვნია. არც ერთხელ, დუ-უ, დუ-უ, დუ-უ-ს მაგვარი არასდროს შემიმჩნევია, არც ერთ ბარში, რამდენჯერაც კი ვყოფილვარ მასთან ერთად. ყველაზე სასაცილო ისაა, რომ ეს სწორედ მე გაწვდიდი შენ მალულად ყოველთვის დუ-უ, დუ-უ, დუ-უ-ს, მანამ ის დახლთან იყო მისული მოსატანად. აი, ყველაზე სასაცილო რა არის!

პაუზა

მაინც როდის მოგიყვა მან ეს ყველაფერი?

ემა: წუხელ. და ჩვენ, მგონი, არც კი დავწოლილვართ მთელი ღამე.

პაუზა

ჯერი: მთელი ღამე ლაპარაკში გაატარეთ?

ემა: ხო, მთელი ღამე.

პაუზა

ჯერი: ჩემ შესახებ ხომ არაფერი თქმულა?

ემა: რაზე?

ჯერი: მე უბრალოდ …

ემა: მე უბრალოდ ავდექი და დაგირეკე დილით, უბრალოდ ისე, იმიტომ, რომ მე … იმიტომ, რომ ჩვენ ძველი მეგობრები ვართ … მე მთელი ღამე წუთითაც არ დავწოლილვარ… ახლა ეს ყველაფერი დამთავრებულია და მე უცებ მომინდა შენი ნახვა.

ჯერი: სწორიცაა, მეც მიხარია შენი ნახვა. ძალიან მიხარია და ძალიან ვწუხვარ, … რომ ყველაფერი ასე …

ემა: შენ გახსოვს მაინც? ესე იგი, შენ მართლა გახსოვს?

ჯერი: მახსოვს.

პაუზა

ემა: შენთვის ხომ ძალიან ძნელი იყო მაშინ გადახდა უესეკს-გროუვზე ბინის ქირის, როცა ჩვენ ის ვიქირავეთ, ხო?

ჯერი: ცხადია. მაგრამ, როცა სიყვარულია, რაიმეს ყოველთვის მოიფიქრებ.

ემა: მე ხომ ფარდები ვიყიდე.

ჯერი: ხო, შენც რაღაც მოიფიქრე.

ემა: ისე, რომ იცოდე, მე იმის გამო კი არ დაგირეკე, რომ უცებ მოგონებები მომაწვა, არა, არა, რა აზრი აქვს გახსენებას? უბრალოდ მინდოდა გამეგო, შენ როგორ ხარ. არა, დამიჯერე. მითხარი, როგორ ხარ? როგორ მიდის შენი საქმეები?

ჯერი: რაღა მნიშვნელობა აქვს ახლა ამ ყველაფერს?

პაუზა

მაშ, გუშინ შენ არაფერი გითქვამს რობერტისთვის ჩვენზე?

ემა: მომიწია თქმა.

პაუზა

მან ყველაფერი მომიყვა და მეც ყველაფერი მოვუყევი. ჩვენ თვალი არ მოგვიხუჭავს მთელი ღამე. შუაღამეს უცებ ნედი ჩამოვიდა საძინებლიდან. მე მომიწია მის დასაწვენად ზევით ასვლა. მერე მე დავბრუნდი დაბლა. მან ალბათ გაიგონა ჩვენი ლაპარაკი და გაიღვიძა. და შენ იცი …

ჯერი: შენ მას ყველაფერი მოუყევი?

ემა: მე მომიწია.

ჯერი: შენ მას ყველაფერი მოუყევი … ჩვენზე?

ემა: მე მომიწია.

ჯერი: მაგრამ ის ხომ ჩემი ყველაზე ძველი მეგობარია. გამიგე, მე მისი შვილიკო ავიყვანე ხელში, ავაგდე და დავიჭირე.

ემა: ამ ყველაფერს ახლა აღარა აქვს მნიშვნელობა. ყველაფერი მორჩა, დამთავრებულია.

ჯერი: ეს როგორ? რას ჰქვია, მორჩა?

ემა: ყველაფერი მორჩა, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

იგი სვამს

1977 წელი

იმავე დღეს

სცენა მეორე

კაბინეტი ჯერის სახლში. 1977. გაზაფხული. ჯერი ზის, რობერტი დგას ჭიქით ხელში.

ჯერი: გმადლობ, რომ მოხვედი

რობერტი: კარგი ერთი, რა სიძნელეა.

ჯერი: არა, არა, მე ვიცი, არ იყო შენთვის ადვილი … მე ხომ ვიცი … ბავშვები ხომ…

რობერტი: არა, არაფერია. მე მომეჩვენა, რომ შენ რაღაც საჩქარო გაქვს.

ჯერი: ხო… შენ უკვე შეირჩიე ვინმე?

რობერტი: რისთვის?

ჯერი: ბავშვებისთვის.

რობერტი: ა-ა-ა, შენ იმაზე მეუბნები? ხო, ხო. მართლა ყველაფერი რიგზეა. თან შარლოტა უკვე ბავშვი აღარაა.

ჯერი: ეს მართლა ეგრეა.

პაუზა

იქნებ დამჯდარიყავი?

რობერტი: რა გაეწყობა, ახლავე დავჯდები.

პაუზა

ჯერი: ჯუდიტი საავადმყოფოშია … ღამის მორიგეა. ბავშვები კი … შინ არიან … მაღლა.

რობერტი: ოხო.

ჯერი: მე სალაპარაკო მაქვს შენთან. ეს მნიშვნელოვანია.

რობერტი: ილაპარაკე.

ჯერი: ახლავე.

პაუზა

რობერტი: რაღაც შენი ფერი არ მომწონს.

პაუზა

მოხდა რამე?

პაუზა

ეს შენ და ემას გეხებათ? ასეა?

პაუზა

ისე, რომ იცოდე, - მე ყველაფერი ვიცი.

ჯერი: კი. მე უკვე … მითხრეს.

რობერტი: მართლა?

პაუზა

მომისმინე, ეს არც ისე მნიშვნელოვანია. ეს ყველაფერი დიდი ხანია მორჩა, ხომ ასეა?

ჯერი: ეს მნიშვნელოვანია.

რობერტი: ხო? მაინც რატომ?

ჯერი: (დგება, ბოლთას სცემს) ვიფიქრე, ჭკუიდან შევიშლები-მეთქი.

რობერტ: როდის?

ჯერი: ამ საღამოს. სწორედ შენს აქ მოსვლამდე. მე სულ ვფიქრობდი, დამერეკა შენთვის, თუ არა. მე ვთვლიდი, რომ მე მოვალე ვიყავი, დამერეკა შენთვის. და მთელი ორი საათი ვერაფრით გადავწყვიტე. თან შენ ზიხარ შენს ბავშვებთან … მე მეშინოდა, რომ ჩვენ ვერ შევხვდებოდით. მე მეჩვენებოდა, რომ მე ვგიჟდები. მადლობელი ვარ, რომ შენ მოხვედი.

რობერტი: შეეშვი ამას, თუ ღმერთი გწამს! მაინც რა გინდოდა ჩემთვის გეთქვა?

პაუზა. ჯერი ჯდება.

ჯერი: მე არ მესმის, მან რისთვის მოგიყვა შენ. არ მესმის, როგორ შეძლო მოეყოლა შენთვის. უბრალოდ არ მესმის. საქმე ისაა, რომ მე ვიცი, თქვენ შორის რაც მოხდა. … მე დღეს შევხვდი მას … ჩვენ ბარში ვისხედით. ღმერთმა უწყის, რა ხანია არ მინახავს. ის მომიყვა მე, იმაზე, თქვენს უსიამოვნებებზე, თქვენზე - ორივეზე … და ასე შემდეგ. ასე რომ, მე ვიცი. და მე ძალიან ვწუხვარ.

რობერტი: სამწუხარო აქ არაფერია.

ჯერი: როგორ თუ არაფერი?

პაუზა

რაც მთავარია, მე ვერაფრით ვიგებ ... რისთვის დასჭირდა ეს ... მოყოლა ... რამდენი წელი გავიდა, და უცებ ... სრულიად მოულოდნელად გუშინ საღამოს ...

რობერტი: გუშინ საღამოს?

ჯერი: ჩემთან შეუთანხმებლად. ჩემი გაფრთხილების გარეშე. ბოლოს და ბოლოს, მე და შენ ხომ ...

რობერტი: მაგრამ მას არაფერი უთქვამს ჩემთვის გუშინ.

ჯერი: რას ჰქვია - არაფერი?

პაუზა

მე ყველაფერი ვიცი - რა მოხდა თქვენ შორის გუშინ. ის მე მომიყვა. თქვენ ხომ არ გეძინათ წუხელ მთელი ღამე. ასეა, თუ არა?

რობერტი: არ იყო ასე. გუშინ მას ჩემთვის არაფერი მოუყოლია თქვენზე. მან ოთხი წლის წინ მიამბო თქვენ შესახებ.

პაუზა

ასე რომ, მისთვის აზრი არ ჰქონდა, ხელმეორედ მოეყოლა ჩემთვის გუშინ. რადგან მე უკვე ვიცოდი ეს ყველაფერი და მან იცოდა, რომ მე ვიცი, რადგან მან თავად მომიყვა ყველაფერი ოთხი წლის წინ.

ხანგრძლივი პაუზა

ჯერი: ეს როგორ?

რობერტი: მე მაინც, ალბათ, ჯობს, დავჯდე.

ჯდება

მე კი ვფიქრობდი, რომ შენ ეს იცოდი.

ჯერი: კერძოდ რა?

რობერტი: ის, რომ მე ვიცი; ის, რომ მე ეს უკვე დიდი ხანია ვიცი. მე მეგონა, რომ შენ ეს იცი.

ჯერი: შენ ფიქრობდი, რომ მე ვიცი?

რობერტი: მან მე მითხრა, რომ შენ არ იცი. მაგრამ მე ეს არ დავიჯერე.

პაუზა

ასე თუ ისე, მე, რამდენადაც მახსენდება, ვფიქრობდი, რომ შენ იცი. მაგრამ, აი, შენ ამბობ, რომ არ იცოდი.

ჯერი: მან გითხრა შენ ეს ... როდის?

რობერტი: მე ეს თავად შევიტყვე. ასე გამოვიდა. მე მას ვუთხარი, რომ ვიცი, და მაშინ მან ... დამიდასტურა რომ ეს ასეა.

ჯერი: როდის იყოს ეს?

რობერტი: როდის, ჯერი და - ძალიან დიდი ხნის წინ

პაუზა

ჯერი: კი, მაგრამ მე და შენ ხომ ვხვდებოდით ერთმანეთს ... ხშირად ვხვდებოდით ... მთელი ეს ოთხი წელიწადი. ჩვენ ერთად ვსადილობდით.

რობერტი: მაგრამ სკვოშს აღარ ვთამაშობდით.

ჯერი: მე შენი საუკეთესო მეგობარი ვიყავი.

რობერტი: კი, რა თქმა უნდა.

ჯერი ყურადღებით (მიშტერებული) შეჰყურებს მას, შემდეგ თავში იტაცებს ხელს.

გთხოვ, ახლა ნუ აყვები ამას. რა აზრი აქვს?

ხანგრძლივი პაუზა. ჯერი თავს სწევს.

ჯერი: რატომ არაფერი მითხრა მან მე ამაზე?

რობერტი: აბა, მე საიდან შეიძლება ვიცოდე, ძამიკო? ეს მას უნდა შევეკითხოთ.

ჯერი: და შენ რატომ არ მითხარი?

პაუზა

რობერტი: მე მეგონა, რომ შენ უნდა გცოდნოდა.

ჯერი: შენ ფიქრობდი, მაგრამ დანამდვილებით ხომ არ იცოდი, ესე იგი არ შეიძლება ითქვას, რომ შენ იცოდი.

რობერტი: დიახ, არ შეიძლება.

ჯერი: მაშინ შენ რატომ არაფერი მითხარი ამაზე?

პაუზა

რობერტი: რაზე - ამაზე?

ჯერი: რაზე და, შენ რომ ყველაფერი იცოდი. გარეწარი ხარ შენ და მეტი არაფერი!

რობერტი: ეე, არა, ჯერი, გარეწრად ნუ გამომაცხადებ.

პაუზა

ჯერი: ახლა რა ვქნათ?

რობერტი: მე და შენ არაფერი უნდა ვქნათ. ჩემს ქორწინებას ბოლო მოეღო. უმნიშვნელო ფორმალობებიღა რჩება. ეს ბავშვებს ეხება.

ხანგრძლივი პაუზა

ჯერი: იმედია, შენ ჯუდიტისთვის მაინც არ აპირებ ამის მოყოლას.

რობერტი: ჯუდიტისთვის მოყოლას? რაზე? ა, შენზე და ემაზე? ესე იგი, შენ გინდა თქვა, რომ მან არაფერი უწყის? და შენ დარწმუნებული ხარ ამაში?

პაუზა

არა, არა, მე ჯუდიტისთვის არაფრის მოყოლას ვაპირებდი. და შენ მგონი არ გესმის. შენ, მე მგონი, ვერ გაგიგია ის, რომ ეს ყველაფერი მე, რბილად რომ ვთქვა, ფეხებზე მკიდია. ... სიმართლე უნდა ითქვას, რომ ერთი-ორჯერ შემომელახა ის, ემა. და არა რაიმე პრინციპების გამო. არც მორალური იდეები მამოძრავებდა. უბრალოდ, უცებ გამიჩნდა სურვილი, მიმეცხო კარგა გვარიანად. დიდი ხანია, ხელები მექავებოდა ... შენ გესმის?

პაუზა

ჯერი: მაგრამ შენც ხომ ღალატობდი მას წლების განმავლობაში, ასე არაა?

რობერტი: ასეა.

ჯერი: და მან არ იცოდა ეს ყველაფერი?

რობერტი: ვითომ?

პაუზა

ჯერი: მე, ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად არ ვიცოდი.

რობერტი: ო, შენ ხომ, როგორც ყოველთვის, ამდაგვარი არაფერი იცოდი. არ იცოდი?

პაუზა

ჯერი: არ ვიცოდი.

რობერტი: იცოდი, ჯერი, იცოდი!

ჯერი: კი, შენ მართალი ხარ. მე ვცხოვრობდი მასთან.

რობერტი: ვიცი, ყოველდღე - სადილიდან ვახშმამდე.

ჯერი: ზოგჯერ უფრო გვიანობამდეც. მთელი შვიდი წელი.

ჰოდა. ასე რომ, მორჩა, რისი გაგებაც შეიძლებოდა, შენ უკვე გაიგე. შვიდი წლის განმავლობაში სადილიდან ვახშმამდე. აი, ვინც ნამდვილად არაფერი იცოდა, ეს მე ვარ.

პაუზა

იმედია, ის გივლიდა მაინც.

ხანგრძლივი პაუზა

ჯერი: მე და შენ კარგი ურთიერთობა გვქონდა.

რობერტი: ჩვენ არც ახლა გვაქვს ცუდი ურთიერთობა.

პაუზა

მე სულ ცოტა ხნის წინ შევეფეთე ჩვენს ძველ ძმას კეისს. თუ არ მეჩვენება, მას რომანი აქვს ჩემს ცოლთან. რამდენი წელია, რაც მასთან სკვოში აღარ მითამაშია. არადა, ეშმაკმა დასწყევლოს, ოდესღაც მშვენივრად გამოგვდიოდა.

ჯერი: გასუქებულა.

რობერტი: ხო, მეც ასე მომეჩვენა.

ჯერი: ძალიან მაგრად ჩაეშვა.

რობერტი: ხო?

ჯერი: ის, რასაც წერს, მისი წიგნები.

რობერტი: ხო, მისი წიგნები, მისი შემოქმედება. მისი ოსტატობა. ხო, მისი შემოქმედება, მგონი, ნულამდე ეშვება; თუ მე ვცდები?

ჯერი: ჯერ კიდევ ყიდულობენ.

რობერტი: კი, ძალიან სწრაფად იყიდება. სულაც არ იყიდება ურიგოდ. ეს სულაც არაა ცუდი ჩვენთვის, შენთვის და ჩემთვის.

ჯერი: ეს ნამდვილად ასეა.

რობერტი: ცოტა ხნის წინ ვიღაც მიყვებოდა - ვერ ვიხსენებ, ვინ შეიძლება ეს ყოფილიყო, ალბათ, ვინმე სარეკლამო განყოფილებიდან, - ხო, მოკლედ, მე მიყვებოდნენ, რომ სულ რამდენიმე დღის წინ იორკში იყო თავისი ახალი წიგნის ეგზემპლარებზე, როგორც საერთოდ წიგნების ჯიხურებში ხდება ხოლმე, თავისი ავტოგრაფის გასაკეთებლად მკითხველებისთვის. და მას თან ახლდა ბარბარა სპრინგი, შენ მას იცნობ, ჰოდა ხალხი მთელი დღე მას ბუზებივით ეხვეოდა - ავტოგრაფისთვის,

ბარბარა სპრინგთან კი მხოლოდ ერთი მოხუცი ქალი მივიდა ძაღლით. მე კი მეჩვენება, რომ ბარბარა სპრინგი ... სულაც არ წერს ურიგოდ. შენ როგორ ფიქრობ?

ჯერი: გეთანხმები.

პაუზა

რობერტი: ისე, კაცმა რომ თქვას, ჯერჯერობით მე და შენ ორთავენი მასზე, კეისზე, არც ისე ცუდად ვაკეთებთ ფულს, შენ როგორ ფიქრობ?

ჯერი: არც ისე ცუდად.

პაუზა

რობერტი: შენ ამ ბოლო ხანს მოგიწია კარგი წიგნების წაკითხვა?

ჯერი: მე წავიკითხე იეტსი.

რობერტი: იეტსი? მერე რას იტყოდი.

პაუზა

ჯერი: შენ ოდესღაც კითხულობდი იეტსს ტორჩელოზე.

რობერტი: ტორჩელოზე?

ჯერი: რა, არ გახსოვს? მრავალი წლის წინ, შენ წახვედი მარტო ტორჩელოზე, სისხამ დილით. და იქ იეტსს კითხულობდი.

რობერტი: ზუსტად. ხო, მე ხომ მოგიყევი შემდეგ ეს ამბავი.

პაუზა

ხო, ხო.

პაუზა

და სად აპირებ ზაფხულში ოჯახით?

ჯერი: ტბაზე.

1975 წელი

სცენა მესამე

ბინა, 1975, ზამთარი.

ჯერი და ემა სხედან.

დუმილი.

ჯერი: მაინც რა წინადადება გაქვს, რას მთავაზობ?

ემა: მე უბრალოდ წარმოდგენა არ მაქვს, რა უნდა ვქნათ, ესაა და ეს.

ჯერი: ოოო

პაუზა

ემა: მე ამ ბინაზე ვლაპარაკობ.

ჯერი: გასაგებია.

ემა: შენ ის მაინც თუ გახსოვს, როდის ვიყავით ჩვენ აქ ბოლოს?

ჯერი: მგონი, ზაფხულში.

ემა: ხო? ნუთუ?

ჯერი: მე ვიცი, შენ შეიძლება მოგეჩვენოს...

ემა: ეს სექტემბრის დასაწყისში იყო.

ჯერი: ასე რომ, ეს ჯერ კიდევ ზაფხული იყო, ასე არაა?

ემა: საშინელი სიცივე იყო. შემოდგომა იწყებოდა.

ჯერი: კაცმა რომ თქვას, ახლაც არ ცხელა.

ემა: ჩვენ კიდევ ახალი ელექტროღუმელის მოტანას ვაპირებდით.

ჯერი: ხო, მე მაინც ვერაფრით მოვახერხე.

ემა: რა აზრი აქვს ამას, თუკი ჩვენ აქ მაინც არ გვიწევს ყოფნა.

ჯერი: მაგრამ ახლა ხომ აქ ვართ.

ემა: ისე ნამდვილად არა, როგორც ადრე.

ხანგრძლივი პაუზა

ჯერი: ხო, ბევრი რამ შეიცვალა. შენ ისე დაკავებული იყავი, სამსახური და ასეთები.

ემა: ხო, მე ვიცი. მაგრამ მე მართლა მომწონს ჩემი სამსახური და მე არ ვაპირებ მის მიტოვებას.

ჯერი: რას ამბობ, ეს დიდებულია. შენთვის ეს უბრალოდ ბრწყინვალეა. მაგრამ შენ არასდროს ...

ემა: რას იზამ, როცა შენს კისერზეა გალერეა, მას უნდა მიხედო, იქ უნდა იყო.

ჯერი: ეს ნიშნავს, რომ შენ დღისით არასდროს ხარ თავისუფალი, ასეა?

ემა: ასეა.

ჯერი: მაშ როგორღა შეგვიძლია შევხვდეთ ერთმანეთს?

ემა: ახლა შენ გაიხსენე, რამდენად ხშირად ხარ შენ ახლა ინგლისში. შენ ხომ განუწყვეტლივ მგზავრობ.

ჯერი: მაგრამ, როდესაც მე აქ ვარ, დღისით შენ დაკავებული ხარ. და ჩვენ არ შეგვიძლია შევხვდეთ.

ემა: ჩვენ შეგვიძლია შესვენებაზე შევხვდეთ.

ჯერი: კი, ჩვენ შეგვიძლია დღის განმავლობაში გამოვნახოთ დრო, მაგრამ, თუკი ჩვენს განკარგულებაში სულ ერთი საათი იქნება, ღირს კი ამისთვის ამ სიშორეზე თრევა. მე უკვე დავბერდი ასეთი რამეებისთვის.

ემა: მე ეს არც შემომითავაზებია.

პაუზა

შენ იცი, ადრე ... ჩვენ ისეთი გონებამახვილები ვიყავით, ისეთი სწრაფვა გვქონდა ... ისეც კი ყოფილა ... თითქოს არაფრით უჩანდა პირი შეხვედრას ... ნულოვანი შანსი ... და ჩვენ მაინც ვხვდებოდით, ჩვენ ვხვდებოდით აქ, ჩვენ დავიქირავეთ ეს ბინა, და ჩვენ ამ ბინაში ვხვდებოდით. რატომ? ... იმიტომ, რომ ჩვენ ეს ძალიან გვინდოდა.

ჯერი: რა განსხვავებაა, ძალიან გვინდა ეს, თუ - არა, თუკი შენ მაინც არ გცალია დღისით, მე კი საერთოდ სულ ამერიკაში ვარ.

ხანგრძლივი პაუზა

ხოლო საღამო კი საერთოდ ყოველთვის გამორიცხული იყო, და შენ ეს იცი. მე ოჯახი მყავს.

ემა: მეც მყავს ოჯახი.

პაუზა

ჯერი: მე ეს მშვენივრად ვიცი. და მე ისიც მინდა გაგახსენო, რომ შენი ქმარი - ჩემი ყველაზე ძველი მეგობარია.

ემა: რა ქარაგმებით მელაპარაკები?

ჯერი: არავითარი ქარაგმები აქ არაა.

ემა: ვითომ რა გინდა ამით თქვა - ჩემს ქმარზე?

ჯერი: ღმერთო, ჩემო! არაფერი მინდოდა ამით მეთქვა, გარდა იმისა, რაც ვთქვი.

ემა: გასაგებია.

პაუზა

ჩემთვის ერთი რამ ცხადია - ადრე ჩვენ ვცდილობდით, რაიმე მოგვეფიქრებინა, ჩვენ ვახერხებდით საღამოსაც განთავისუფლებას, როგორღაც ყველაფერს ვაგვარებდით, ვხვდებოდით ერთმანეთს და მივდიოდით ოტელში.

ჯერი: ხო, ჩვენ სწორედ ასე ვიქცეოდით.

პაუზა

მაგრამ ეს ყველაფერი ... უფრო ხშირად ეს იყო ... მანამდე, ვიდრე ჩვენ ბინას ვიქირავებდით.

ემა: არც ისე ხშირად გვითევია აქ ღამე ... ამ ბინაში.

ჯერი: ხო, არც ისე ხშირად.

პაუზა

ჩვენ საერთოდ ცოტაჯერ თუ სადმე გაგვითევია ღამე.

ხანგრძლივი პაუზა

ემა: და შენ შეგიძლია შენს თავს მისცე იმის უფლება ... რომ ის ცარიელი იყოს, ასე, თვიდან თვემდე?

ჯერი: ოოო-ო...

ემა: იყოს ასე, სულ უქმად, აქ ხომ არასდროს არის ვინმე. ამაზე ფიქრიც კი მთრგუნავს, მართალი გითხრა. დგას ასე ... სულ უქმად. მთელი დღე, მთელი ღამე. დღიდან დღემდე. ღამიდან ღამემდე. და ეს ყველაფერიც უქმად - ჭურჭელიც, ფარდებიც, საძინებელი თეთრეულიც და სხვა ყველაფერი. სუფრაც, რომელიც მე ვენეციიდან ჩამოვიტანე.

იღიმება

არა, ეს ხომ, უბრალოდ, სასაცილოა!

პაუზა

ეს უბრალოდ ... არაა საცხოვრებელი სახლი. მკვდარია ეს სახლი.

ჯერი: ეს სახლიც არაა.

პაუზა

მე ვიცი. მე ვიცი, შენ რაც გინდოდა... მაგრამ ეს არასდროს შეიძლებოდა ყოფილიყო ნამდვილი სახლი ... შენც გაქვს სახლი. მეც მაქვს სახლი. ფარდებითა და სხვა დანარჩენით და ბავშვებითაც. ორ-ორი ბავშვია თითოეულ ამ სახლში. აქ კი არ არიან ბავშვები, ასე რომ, ეს უკვე აღარაა ნამდვილი სახლი, არაა ისეთი, როგორც ისინი.

ემა: და ჩვენ არასოდეს გვიფიქრია, რომ ის ისეთივე იქნებოდა, როგორც ისინი. ხომ მართალია?

პაუზა

შენ საერთოდ არასოდეს თვლიდი ამას სახლად, არავითარნაირად, ასე არ არის?

ჯერი: ასეა. ეს უბრალოდ ბინაა ... შენ ხომ იცი.

ემა: მოსასიყვარულებლად, არა?

ჯერი: არა, სიყვარულისთვის.

ემა: ჰოდა, ახლა ისიც ხომ მიილია? ასე არ არის?

ხანგრძლივი პაუზა

ჯერი: მე არა მგონია, რომ ჩვენ არ შეგვრჩა სიყვარული.

პაუზა

ემა: აჰა, ასეა?

პაუზა

მაინც რას უპირებ ... ამ ყველაფერს?

ჯერი: რას?

ემა: ამ ნივთებს.

ხანგრძლივი პაუზა

ჯერი: იცი, ყველაფერი ეს შეიძლება საკმაოდ მარტივად მოგვარდეს, თუკი ჩვენ რაიმეს გადავწყვეტთ.

ემა: ესე იგი, მივყიდოთ ყველაფერი მისის ბენკსს იაფად ... მას კი შეუძლია ავეჯიანი ბინის გაქირავება.

ჯერი: ასეა. ეს საწოლი აქ იყო?

ემა: ეს როგორ?

ჯერი: თუ არ იყო აქ საწოლი?

ემა: ჩვენ შევიძინეთ ეს საწოლი. ჩვენ ხომ ერთად ვიყავით მის შესაძენად. ყველაფერი ჩვენ შევიძინეთ.

ჯერი: ხოო.

ემა დგება

ემა: მაშ, შენ ყველაფერს მოაგვარებ მისის ბენკსთან?

პაუზა

მე აქედან ვერაფერს წავიღებ. მე უბრალოდ ვერსად დავდგამ, მოგეხსენება. მე მაქვს სახლი სუფრებითა და სხვა დანარჩენით.

ჯერი: კეთილი, ამას მე მოვაგვარებ, ყველაფერზე მოველაპარაკები მისის ბენკსს. ჩვენ ერთი-ორი კაპიკიც გვეკუთვნის, ასე რომ ...

ემა: ვერა, ვერა, ფულითაც ვერაფერს ავიღებ, უზომოდ მადლობელი ვარ შენი.

ხანგრძლივი პაუზა

ჯერი შემობრუნდება და უყურებს მას

ხო, მართლა, გასაღები! (ამოიღებს გასაღებების აცმას, ცდილობს შეხსნას გასაღები მას). ღმერთო ჩემო! (ნერვიულად ექაჩება გასაღებს. ესვრის მას მთელ აცმას) შეხსენი!

ის იჭერს აცმას. უყურებს ემას.

ჩქარა ქენი, ძალიან გთხოვ! მე კიდევ შარლოტას უნდა შევუარო სკოლაში. ჩვენ საყიდლებზე უნდა წავიდეთ.

ჯერი შეხსნის გასაღებს.

შეამჩნიე, რომ ჩვენ სწორედ დღისით შევხვდით? ხუთშაბათობით გალერეა სადილის შემდეგ დაკეტილია. ამიტომ ვარ მე ახლა აქ; ხუთშაბათობით ჩვენ ვკეტავთ ნაშუადღევს. მე შემიძლია ავიღო ჩემი გასაღები?

ის გადასცემს ემას აცმას.

გმადლობ. იცი, მე მგონია, ჩვენ ყველაფერი სწორად გადავწყვიტეთ.

ემა გადის. ჯერი გაუნძრევლად დგას.

1974 წელი

სცენა მეოთხე

რობერტისა და ემას სახლში. სასტუმრო ოთახი. 1974 წლის შემოდგომა

რობერტი უვსებს ჭიქას ჯერის. მიდის კარისკენ.

რობერტი: ემა! ჯერი მოვიდა!

ემა: (კულისებიდან). ვი-ინ?

რობერტი: ჯერი.

ემა: ახლავე ჩამოვალ.

რობერტი აწვდის ჭიქას ჯერის.

ჯერი: შენ გაგიმარჯოს.

რობერტი: შენ გაგიმარჯოს. ის იქ ნედის აწვენს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ის წუთი წუთზე გაემგზავრება.

ჯერი: სად გაემგზავრება?

რობერტი: სიზმრების ქვეყანაში.

ჯერი: ხო, მართლა, თქვენ როგორ გძინავთ?

რობერტი: ესე იგი?

ჯერი: ძველებურად გამოუძინებლები ხართ? მე ნედის ვგულისხმობ.

რობერტი: აა, ნედს? არა, არაუშავს.

ჯერი: რა?

რობერტი: მე მითხრეს, რომ ბიჭები ამ მხრივ უარესები არიან გოგოებზე.

ჯერი: უარესები?

რობერტი: ხო, ჩვილები. მე მითხრეს, რომ ახალშობილი ბიჭები გოგოებზე მეტად ტირიან.

ჯერი: ნუთუ?

რობერტი: შენ განა ეს არ შეგიმჩნევია?

ჯერი: ე-ე ... კი, შენ წარმოიდგინე, ჩვენც ვამჩნევდით ამას. შენც?

რობერტი: მე შევნიშნე. რას ფიქრობ, რატომაა ეს ასე?

ჯერი: ვფიქრობ ... ბიჭები მეტად არიან საზრუნავით დამძიმებულნი.

რობერტი: ჩვილის ასაკშივე?

ჯერი: კი.

რობერტი: მაინც რა ეშმაკი აწუხებთ, რა საზრუნავი აქვთ ... ჯერ კიდევ ჩვილებს? შენ რას ფიქრობ?

ჯერი: არ ვიცი ... იქნებ გარე სამყაროსთან შეხვედრა - მე ასე ვფიქრობ, ისინი ტოვებენ დედის წიაღს და ყოველივე ამდაგვარს.

რობერტი: გოგოები? ისინიც ხომ ტოვებენ დედის წიაღს.

ჯერი: გეთანხმები. მაგრამ შენც დამეთანხმები - არცერთ ჩვენთაგანს სმენია, რომ ვინმეს სერიოზულად განეხილა ეს საკითხი - ის, რომ გოგოები ტოვებენ დედის წიაღს და ყოველივე ამდაგვარს. ეს ხომ არავის განუხილავს, ასე არაა?

რობერტი: მე მზად ვარ, განვიხილო.

ჯერი: შენ? ცხადია. მაინც რა შეგიძლია თქვა ამის შესახებ?

რობერტი: კი, მაგრამ ჯერ ხომ მე დაგისვი შენ კითხვა. შენც მიპასუხე.

ჯერი: რა კითხვა?

რობერტი: რატომ ირწმუნები შენ, რომ დედის წიაღის მიტოვებისას ბიჭს მეტი პრობლემები უჩნდება, ვიდრე გოგოს?

ჯერი: განა მე ვირწმუნებოდი ამას?

რობერტი: შენ უფრო შორსაც წახვედი და ამტკიცებდი, რომ მამრობითი სქესის ჩვილები უფრო მეტად არიან შეწუხებულნი გარე სამყაროსთან შეჯახებით, ვიდრე მდედრობითი სქესის.

ჯერი: შენ განა იგივენაირად არ ფიქრობ?

რობერტი: კი, მე ვფიქრობ, რომ ეს ასეა.

პაუზა

ჯერი: შენ ხომ არ ფიქრობ, რომ ეს რაღაცნაირად დაკავშირებულია მათი სქესის განსხვავებულობასთან?

პაუზა

რობერტი: ღმერთო ჩემო, რაღა თქმა უნდა! უეჭველადაა დაკავშირებული.

შემოდის ემა

ემა: სალამი! ნამდვილად არ გელოდით.

ჯერი: ისე მოხდა, რომ კეისთან ერთად ჩაის ვსვამდი.

ემა: ეს სად?

ჯერი: აქვე, გვერდით, ამ ქუჩის კუთხეს გაცდები თუ არა.

ემა: მე კი მეგონა, რომ ის ცხოვრობს ხამპსტედში ან კიდევ სადღაც.

რობერტი: შენ ჩამორჩი ცხოვრებას.

ემა: ეს რატომ?

ჯერი: მან მიატოვა სუზანი. ის ახლა მარტო ცხოვრობს, აქვე, შორიახლოს, მა ქუჩის კუთხეს გაცდები თუ არა, იქვე.

ემა: უყურე შენ?

რობერტი: წერს რომანს ადამიანზე, რომელმაც მიატოვა ცოლი სამი შვილით და დასახლდა ლონდონის მეორე კუთხეში, რომ დაეწერა რომანი ადამიანზე, რომელმაც მიატოვა ცოლი სამი შვილით...

ემა: იმედია, მისი ეს რომანი აჯობებს მის უკანასკნელ რომანს.

რობერტი: უკანასკნელს? ოხ, უკანასკნელი... ეს იმაზე არ არის, თუ როგორ ცხოვრობს ადამიანი დიდ სახლში ხამპსტედში ცოლთან და სამ შვილთან ერთად და წერს რომანს ადამიანზე? ...

ჯერი: (ემას) მაინც რითი არ მოგეწონა შენ ის რომანი?

ემა: მე, კაცმა რომ თქვას, შენ უკვე გითხარი.

ჯერი: მე მეჩვენება, ეს საუკეთესოა იქიდან, რაც მას საერთოდ დაუწერია.

ემა: შეიძლება, ეს საუკეთესოა იქიდან, რაც მას დაუწერია, და მიუხედავად ამისა, ის ამაზრზენად ყალბი რამაა.

ჯერი: ყალბია? რა აზრითაა ყალბი?

ემა: ამაზედაც მე შენთვის უკვე მითქვამს.

ჯერი: განა?

რობერტი: კი, კი, უთქვამს. ჩვენ მაშინ ერთად ვსადილობდით, მშვენივრად მახსოვს, ოღონდ არ მახსოვს - სად; შენ, მე, ემა და ჯუდიტი, და ემამ წაიკითხა პუდინგისას მშვენიერი მოხსენება სიყალბეზე კეისის ნაწარმოებებში სწორედ ამ ბოლო რომანის `მწარე ნაბახუსევის~ მაგალითზე. ეს ამაღელვებელი მოხსენება იყო. სამწუხაროდ, ჯუდიტს უნდა მივეტოვებინეთ მისი მოხსენების შუაში, ვინაიდან ის წასასვლელი იყო საავადმყოფოში ღამის მორიგეობაზე. ხო, გახსენებაზე, როგორაა ის?

ჯერი: ყველაფერი მშვენივრადაა.

პაუზა

რობერტი: მაინც როდის ვითამაშებთ მე და შენ სკვოშს?

ჯერი: შენ ჩემთვის ძალიან ძლიერი მოთამაშე ხარ.

რობერტი: ტყულია. მე სულაც არა ვარ ძლიერი მოთამაშე. უბრალოდ ახლა მე საუკეთესო ფორმაში ვარ.

ჯერი: ეს ვითომ რატომ? მაინც რატომ ხარ შენ უკეთეს ფორმაში, ვიდრე მე?

რობერტი: იმიტომ, რომ მე ვთამაშობ სკვოშს.

ჯერი: ოო, თამაშობ და ხშირად?

რობერტი: ჰმმ...

ჯერი: ვისთან?

რობერტი: როგორც წესი, კეისთან.

ჯერი: კეისთან? ღმერთო, სამართლიანო! ჰოდა როგორ თამაშობს ის?

რობერტი: სრული პატიოსნებით. ასე ვთქვათ, ბოლო პირდაპირობით. მაგრამ მე და შენ - ჩვენ ხომ მართლაც არ გვითამაშია მთელი საუკუნეა. ჩვენ უსათუოდ უნდა ვითამაშოთ. შენ ხომ ურიგოდ არ თამაშობდი.

ჯერი: კი, არ ვთამაშობდი ურიგოდ. გადაწყდა, მე შენ დაგირეკავ.

რობერტი: სწორი ხარ, რატომაც არ უნდა დარეკო?

ჯერი: დავრეკავ და ჩვენ მოვილაპარაკებთ.

რობერტი: მაშ, შევთანხმდით!

ჯერი: საჭიროა, აუცილებლად!

რობერტი: თამაშის შემდეგ კი მე შენ სადილით გაგიმასპინძლდები.

ჯერი: არა, არა. ეს მე გაგიმასპინძლდები. გპატიჟებ!

რობერტი: ვინც მოიგებს, სწორედ ის პატიჟებს.

ემა: და შემიძლია, მე ვუყურო?

პაუზა

რობერტი: რას?

ემა: შეიძლება, მე თამაშს ვუყურო? შემდეგ კი მე გაგიმასპინძლდებით ორთავეს სადილით.

რობერტი: იცი რა, თუ ბოლომდე პატიოსნად, ასე ვთქვათ, ბოლომდე ალალად ვიტყვით, კაცმა რომ თქვას, ჩვენთვის სულ ზედმეტია, რომ ქალი იყოს იქ, სწორს ვამბობ, ჯერი? იმიტომ, რომ სკვოშის თამაში - ეს რაღაც უფრო მეტია. ჯერ, რა თქმა უნდა, თვითონ თამაში; ამის შემდეგ - შხაპი; ამის შემდეგ - კათხა ლუდი, ხოლო შემდეგ - სადილი. იმიტომ, რომ შენ ეს დაიმსახურე. შენ იბრძოდი, ხოლო ახლა - ახლა შენ გსურს მიიღო შენი კათხა ლუდი და შენი სადილი. და, სიმართლე უნდა ითქვას, შენ სულაც არ გსურს, რომ ქალი გიმასპინძლდებოდეს სადილით. თუ სიმართლეს ვიტყვი, შენ სულაც არ გსურს, რომ ქალი იყოს აქ, აქ ან ამ გარემარეზე, თუნდაც ერთი მილის დაშორებით. პატიოსნად რომ ვთქვა, შენთვის სულ ზედმეტია, რომ ის სადღაც დაბოდიალობდეს მოედანზე თამაშის დროს, ან საშხაპეში, ან შემდეგ ლუდხანაში, ან რესტორანშიც კი. იმიტომ, რომ გესმის, თუ არა, რომ სადილობისას გსურს ისაუბრო მეგობართან სკვოშზე ან წიგნებზე, ან სულაც ქალებზე, გსურს გემრიელად ლაპარაკი - ისე, რომ არ გეშინოდეს, რომ ვიღაც გაგაწყვეტინებს შუაში. აი, სინამდვილეში, რა ვითარებაა. მეთანხმები, ჯერი?

ჯერი: რა ხანია სკვოში არ მითამაშია.

პაუზა

რობერტი: ჰოდა, მოდი, იმ კვირაში ვითამაშოთ.

ჯერი: იმ კვირაში მე რომ ვერ შევძლებ. მე ნიუ-იორკში ვიქნები.

ემა: მიემგზავრები?

ჯერი: კი, ვაპირებ ჩემს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მწერალთან ერთად.

ემა: მაინც ვისთან?

ჯერი: კეისთან ერთად. ვიღაცას იქ განუზრახავს ფილმის გადაღება მისი რომანის მიხედვით, სწორედ იმ რომანზეა საუბარი, შენ რომ არ მოგწონს. ეს მასთან ერთად უნდა განვიხილოთ. საუბარი იმაზე იყო, რომ ან ისინი ჩამოვიდოდნენ აქ, ან ჩვენ ჩავიდოდით მათთან. მაგრამ კეისი ფიქრობს, რომ მან დაიმსახურა მოგზაურობა.

ემა: შენც?

ჯერი: რა - მე?

ემა: შენც დაიმსახურე მოგზაურობა?

რობერტი: ჯუდიტიც თქვენთან ერთად მოფრინავს?

ჯერი: არა. მაგრამ კეისს უბრალოდ არ შეუძლია მარტო ფრენა. ასე რომ, ჩვენ ვითამაშებთ სკვოშს, როცა ჩამოვალ. ერთი კვირის მერე, მაქსიმუმ ათი დღის შემდეგ.

რობერტი: მშვენიერია!

ჯერი: (ემას) კარგად, გმადლობ სასმელისთვის.

ემა გაუნძრევლად დგას. რობერტი ბრუნდება. კოცნის ემას. ემაც კოცნის მას. შემდეგ ითავისუფლებს თავს, ადებს თავს რობერტს მხარზე, ჩუმად ქვითინებს. რობერტი ნაზად იხუტებს მას.

1973 წელი

სცენა მეხუთე

ნომერი სასტუმროში. ვენეცია. 1973. ზაფხული.

ემა წევს წიგნით ხელში. რობერტი ფანჯარაში იყურება. ემას დროდადრო გადააქვს მზერა მისკენ წამით, მერე კი ისევ ჩარგავს თავს წიგნში.

ემა: მაშ, ხვალ ტორჩელოზე?

რობერტი: რა?

ემა: მივდივართ ხვალ ტორჩელოზე?

რობერტი: კი, ტორ-ჩე-ლო.

ემა: მშვენიერია!

რობერტი: ჰმმ...

ემა: ერთი სული მაქვს, როდის გავუყვებით გზას!

პაუზა

რობერტი: კარგი წიგნია?

ემა: ჰმმ... კი.

რობერტი: რა არის?

ემა: ახალია. ვინმე სპინსკის.

რობერტი: ხო? ჯერი მეუბნებოდა რაღაცას.

ემა: ჯერი? როდის?

რობერტი: წინა კვირაში, სადილობისას.

ემა: მართლა? მოსწონს მას ეს წიგნი?

რობერტი: სპინკსი - მისი შვილობილია. მან აღმოაჩინა.

ემა: მართლა? მე არ ვიცოდი.

რობერტი: განა, ცოტაა დამწყები, რომლებსაც მოაქვთ ხელნაწერები?

პაუზა

მაშ, შენი აზრით, კარგია?

ემა: ჩემის აზრით, კი. მე მომწონს.

რობერტი: ჯერისაც მოსწონს, შენ როგორღაც უნდა ისადილო ჩვენთან ერთად და დავილაპარაკოთ თან ამაზე.

ემა: ეს ნამდვილად აუცილებელია?

პაუზა

არ მგონია, ის ამად ღირდეს.

რობერტი: სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის არც იმდენად კარგია, რომ ჩვენთან ერთად ისადილო და ვისაუბროთ ამაზე?

ემა: რას ბოდიალობ?

რობერტი: ერთი უნდა გადავიკითხო, რადგან უკვე გამოვიდა.

ემა: გადაიკითხო?

რობერტი: ჯერი მთავაზობდა მის გამოცემას.

ემა: მართლა?

რობერტი: ბუნებრივია. მე კი უარი ვუთხარი.

ემა: რატომ?

რობერტი: იმიტომ, რომ ამ თემიდან ახალს ვეღარაფერს გამოადენ.

ემა: შენი აზრით მაინც რა თემაა აქ?

რობერტი: ღალატი.

ემა: არაფერი მსგავსი.

რობერტი: მართლა? აბა, რომელი?

ემა: ბოლომდე ჯერ არ წამიკითხავს. მერე გეტყვი.

რობერტი: კარგი. ასე იყოს.

პაუზა

არაა გამორიცხული, რომ მე სხვა წიგნი მაქვს მხედველობაში.

ხანგრძლივი პაუზა

ხო, მართლა, ახლა გამახსენდა, მე გუშინ როგორღაც „ამერიკან ექსპრესში“ მომიწია შესვლა.

ემა წიგნს აცილებს მზერას და მასზე გადააქვს.

ემა: ხოო?

რობერტი: ხო, ტურისტული ჩეკებით ფულის მისაღებად. იქ უფრო მაღალია კურსი, ვიდრე, დავუშვათ, აქ, სასტუმროში.

ემა: ხო?

რობერტი: ხო. ჰოდა იქ წერილი იყო შენს სახელზე. მე მკითხეს, ნათესავები ხომ არა ვართ ჩვენ. მე ვთქვი, რომ ნათესავები ვართ. მერე მკითხეს, ხომ არ ვისურვებდი მე წერილის აღებას. მოკლედ, მომცეს ის წერილი. მაგრამ მე უარი ვუთხარი აღებაზე და ვთხოვე, დაეტოვებინათ. შენ გამოიტანე?

ემა: კი.

რობერტი: ეტყობა, გუშინ საღამოს, როცა საყიდლებზე იყავი გასული.

ემა: ზუსტად ეგრეა.

რობერტი: ჰოდა, მადლობა ღმერთს!

პაუზა

მართალი გითხრა, მე გაოცებული დავრჩი, როცა მათ მე შემომთავაზეს მისი აღება. ინგლისში ეს წარმოუდგენელია ... აი, იტალიელები ... სრული დაუდევრობა ... ის, რომ ჩემი გვარი დაუნსია და შენი გვარიც დაუნსი, აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ ჩვენ ცოლ-ქმარი ვართ, მათ კი სწორედ ასე განიხილეს თავიანთი ჭკუით, მხიარული ხმელთაშუაზღვისპირული გონებით. ხომ შეიძლება მომხდარიყო - და ყველაზე მეტად სავარაუდოც უნდა ყოფილიყო - რომ ჩვენ აბსოლუტურად უცხონი ვართ ერთმანეთისთვის. ახლა წარმოიდგინე, რომ მე, რომელიც მათ ასე ადვილად ჩათვალეს შენს მეუღლედ, ვუდასტურებ, რომ მე ვარ ქმარი, თუმცა სინამდვილეში ვარ სრულიად უცხო, ვიღებ წერილს, ვხსნი მას, ცნობისმოყვარეობის გამო ვკითხულობ და ვაგდებ ნაგავში, ეს ხომ ნიშნავს იმას, რომ

შენ ვერასდროს მიიღებ მას. შენ ჩამოგართვეს ამით კანონიერი უფლება, გახსნა საკუთარი კორესპონდენცია - და ეს ყველაფერი ვენეციური აგდებულობის გამო. მე სერიოზულად ვფიქრობ, დავუწერო ყოველივე ამის შესახებ ვენეციელ დოჟს.

პაუზა

კაცმა რომ თქვას, მე იმიტომ არ ავიღე წერილი და არ წამოგიღე, რომ ჩემს ადგილას სრულიად თავისუფლად შეიძლება აღმოჩენილიყო საერთოდ უცხო ადამიანი.

პაუზა

მათ ხომ არ იცოდნენ და არაფრით შეიძლება სცოდნოდათ, რომ მე შენი ქმარი ვარ.

ემა: გონებაჩლუნგები.

რობერტი: ხო, თავისი ჭკუამხიარული ხმელთაშუაზღვისპირული ტიპით.

პაუზა

ემა: ეს ჯერის წერილია.

რობერტი: ხო, ხელით ვიცანი.

პაუზა

რას შვრება, როგორ არის?

ემა: ო'ქეი.

რობერტი: კეთილი. ჯუდიტი?

ემა: მშვენივრად.

პაუზა

რობერტი: ბავშვებზე იწერება რაიმეს?

ემა: არა, არაფერს.

რობერტი: მაშინ, ალბათ, მათ ყველაფერი რიგზე აქვთ, თორემ მოიწერდა.

პაუზა

სიახლე არის რაიმე?

ემა: არავითარი.

ხანგრძლივი პაუზა

რობერტი: ძალიან გინდა შენ ტორჩელოზე?

პაუზა

რამდენჯერ ვიყავით ჩვენ ტორჩელოზე? ორჯერ. მახსოვს, შენ ძალიან მოგეწონა, როცა პირველად წაგიყვანე. შენ შეგიყვარდა ის ადგილი. როდის იყო ეს - ერთი ათი წლის წინ? მე მგონი ... ნახევარ წელიწადში ქორწილის შემდეგ? ხო. გახსოვს? საინტერესოა, ხვალ როგორ მოგეწონება იქ.

პაუზა

როგორ მოგწონს ჯერი ეპისტორალურ ჟანრში?

ემა შიგადაშიგ იცინის

შენ კანკალებ! გცივა?

ემა: არა.

რობერტი: ერთ დროს მეც მწერდა. გრძელ წერილებს ფორდ მედოკს ფორდზე. და მეც ვპასუხობდი მას, შენ წარმოიდგინე. ასეთივე უგრძეს წერილებს ... ისტსზე, ალბათ, მაშინ ჩვენ ორთავენი პოეტური ჟურნალების რედაქტორები ვიყავით. ის კემბრიჯში, მე - ოქსფორდში. იცოდი შენ ეს? ჩვენ ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები ვიყავით და განუყრელი მეგობრები. ჩვენ ახლაც განუყრელი მეგობრები ვართ. ეს ყველაფერი იყო შენთან შეხვედრამდე ბევრად ადრე. და თქვენს შეხვედრამდე. სულ მინდა გავიხსენო, როდის გაგაცანით მე ერთმანეთი და ვერაფრით ვიხსენებ. არადა ნამდვილად ხომ მე გაგაცანით თქვენ ერთმანეთი? ნამდვილად. მაინც როდის? იქნებ, შენ გახსოვს?

ემა: არა.

რობერტი: სულ არ გახსოვს?

ემა: არ მახსოვს.

რობერტი: უცნაურია.

პაუზა

ჩვენი მეჯვარე არ იყო ის?

ემა: მშვენივრად იცი, რომ იყო.

რობერტი: რა თქმა უნდა. სწორედ მაშინ გაგაცანით, ალბათ ...

პაუზა

ჩემთვის არაფერი იყო წერილში?

პაუზა

არავითარი საქმიანი მოსაზრებები, საგამომცემლო გეგმები? ახალი ორიგინალური ტალანტი ხომ არ აღმოუჩენია ვინმე? ის ხომ ამ საქმეში დაბერდა. ძალიან ნიჭიერი მაძიებელია ტალანტების.

ემა: შენთვის არაფერი.

რობერტი: ჩემთვის არაფერი. მე მას არ ვუყვარვარ.

ემა: მას მე ვუყვარვარ, მე კი ის.

რობერტი: კი. რა თქმა უნდა. ასეც ვიფიქრე, რაღაც ამდაგვარი.

ემა: მაინც როდის?

რობერტი: რა როდის?

ემა: როდის იფიქრე ეს?

რობერტი: გუშინ, მხოლოდ გუშინ. როცა მისი ხელი ვიცანი კონვერტზე. ხოლო გუშინდლამდე ერთი წუთითაც ეჭვი არ დამბადებია.

ემა: გასაგებია.

პაუზა

მე ძალიან ვწუხვარ.

რობერტი: სწუხარ?

ხანგრძლივი პაუზა

მაინც როგორ ეწყობით? ეს ხომ არც ისე მარტივია. შენ ორი ბავშვი გყავს, მასაც ორი ბავშვი ჰყავს, და თან ცოლიც - დამატებით...

ემა: ჩვენ ჩვენი ბინა გვაქვს.

რობერტი: ხოო? გა-სა-გებია!

პაუზა

კარგი ბინაა?

პაუზა

ბინა. სოლიდურადაა მოწყობილი ... თქვენი რომანი.

ემა: კი.

რობერტი: დიდი ხანია?

ემა: საკმაოდ.

რობერტი: მაინც, უფრო ზუსტად?

ემა: ხუთი წელია.

რობერტი: ხუთი წელი?

პაუზა

ნედი წლისაა.

პაუზა

მისმენ?

ემა: კი. ის შენი შვილია. ჯერი ამერიკაში იყო წასული მაშინ, ორი თვით.

ხანგრძლივი პაუზა

რობერტი: ის გწერდა შენ ამერიკიდან?

ემა: რა თქმა უნდა. მეც ვწერდი მას.

რობერტი: შენ შეატყობინე, რომ ბავშვს ელოდებოდი?

ემა: წერილით არა.

რობერტი: და როცა აცნობე, სასიამოვნო იყო მისთვის ამის გაგონება, რომ მამა მე ვარ?

პაუზა

მე ყოველთვის მომწონდა ჯერი. მართალი გითხრა, ის მე შენზე მეტად მომწონდა. ალბათ, მე თავად უნდა გამეგა მასთან რომანი.

ხანგრძლივი პაუზა

მომისმინე, შენ ძალიან გინდა ტორჩელოზე წასვლა?

1973 წ. წელი

მოგვიანებით

სცენა მეექვსე

ბინა. 1973. ზაფხული

ემა და ჯერი კოცნიან ერთმანეთს. ემას ხელში კალათა და რაღაც ფუთა უჭირავს.

ემა: ძვირფასო!

ჯერი: ძვირფასო!

არ უშვებს ხელს. ემა იცინის

ემა: მაცადე, დავდო.

დგამს მაგიდაზე კალათას.

ჯერი: რა არის შიგ?

ემა: საუზმე.

ჯერი: რა საუზმე?

ემა: რაც შენ გიყვარს.

ჯერი ასხამს ღვინოს

რას იტყვი, მოგწონვარ?

ჯერი: მშვენიერი ხარ!

ემა: კარგად გამოვიყურები?

ჯერი: ბრწყინვალედ!

აწვდის ემას ჭიქას

ემა: (სინჯავს) ოხ-ოხ.

ჯერი: იქ როგორი დრო გაატარე?

ემა: მშვენიერი.

ჯერი: იყავი ტორჩელოზე?

ემა: არა.

ჯერი: რატომ?

ემა: აღარ მახსოვს. კატერების აჯანყება, იყო თუ რაღაც ამდაგვარი.

ჯერი: კატერები აჯანყდნენ?

ემა: დიახ! და სწორედ იმ დღეს.

ჯერი: გასაგებია. რა, გონდოლებით არ შეიძლებოდა?

ემა: გონდოლები არ დადიან ტორჩელოზე.

ჯერი: უწინ დადიოდნენ. როცა კატერები არ იყო. აბა იქამდე როგორ აღწევდნენ?

ემა: გონდოლებით იქამდე რამდენიმე საათი უნდა.

ჯერი: ალბათ, ეგრეა.

პაუზა

შენი წერილი მივიღე.

ემა: ყოჩაღ.

ჯერი: შენ მიიღე ჩემი?

ემა: რა თქმა უნდა. მოგენატრე?

ჯერი: კი. ისე ცოტა ცუდად ვიყავი.

ემა: რა იყო?

ჯერი: ისე, გავცივდი.

ემა კოცნის მას.

ემა: მომენატრე.

მზერას მოავლებს ოთახს.

შენ რა, აქ არცერთხელ შემოსულხარ?

ჯერი: კი, ასეა.

ემა: მოუწევს მტვერსასრუტს მუშაობა.

ჯერი: ეს მერე.

მე დილით რობერტს ველაპარაკე.

ემა: მართლა?

ჯერი: ხუთშაბათს სასადილოდ წავიყვან.

ემა: ხუთშაბათს? რასთან დაკავშირებით?

ჯერი: ჩემი რიგია.

ემა: არა, რატომ უნდა წაიყვანო სასადილოდ?

ჯერი: იმიტომ, რომ ჩემი რიგია. წინაზე მან მასადილა.

ემა: შენ მშვენივრად გესმის, მე რასაც ვამბობ.

ჯერი: არ მესმის. რას გულისხმობ?

ემა: რაც დგას ამ სადილის უკან.

ჯერი: არაფერი დგას. ჩვენ უკვე 1000 წელია რიგრიგობით დაგვყავს ერთმანეთი სასადილოდ. ხან იმას დავყარვარ მე, ხან მე დამყავს ის.

ემა: შენ ისე ვერ გამიგე.

ჯერი: მაინც როგორ უნდა გამეგო?

ემა: კეთილი. ორი სიტყვით გეტყვი. თქვენ ხშირად ხვდებით ან სადილობთ, რომელიმე წიგნზე ან რომელიმე მწერალზე რომ იმსჯელოთ. ასე არ არის? ასეთი შეხვედრებისა თუ სადილების უკან არის უკანა აზრი.

ჯერი: ესე იგი, ამ სადილის უკან არაა უკანა აზრი.

ემა: შენ უჩემოდ ხომ არ აღმოგიჩენია ვინმე ახალი მწერალი?

ჯერი: არა. სემი ველოსიპედიდან ჩამოვარდა.

ემა: რას ამბობ?

ჯერი: გონება დაკარგა. თითქმის ერთი წუთი გონებადაკარგული იყო.

ემა: ვინ იყო მასთან? შენ?

ჯერი: არა. ჯუდიტი. ახლა ყველაფერი რიგზეა. მერე კი მე ჩავწექი.

ემა: ოი, ჩემო საწყალო!

ჯერი: ასე რომ, დრო ტყუილუბრალოდ გაცდა.

ემა: ახლა ყველაფერი მოწესრიგდება, რაკი მე დავბრუნდი.

ჯერი: რა თქმა უნდა.

ემა: ხო, მართლა! მე ხომ შენი სპინკსი წავიკითხე!

ჯერი: მერე, როგორ მოგეწონა?

ემა: ბრწყინვალე წიგნია!

ჯერი: რობერტს კი სულაც არ მოეწონა. უარი თქვა გამოცემაზე.

ემა: იქნებ ორი სიტყვით მითხრა როგორია ის.

ჯერი: ვინ?

ემა: სპინკსი.

ჯერი: სპინკსი? ისეთია, გამხდარი. ორმოცდაათამდე წლის. მუდმივად მუქი სათვალე უკეთია. მარტო ცხოვრობს, ქირაობს ბინას. ჩვენი ბინის მაგვარს. მთლად ისეთია ... განდგომილი.

ემა: მოსწონს ბინის დაქირავება?

ჯერი: კი.

ემა: მეც. შენ? ისევ მოგწონს? მოგწონს აქ, ჩვენთან?

ჯერი: მშვენიერია, აქ ტელეფონი რომ არ დგას.

ემა: და ის, რომ აქ მე ვარ, მშვენიერია?

ჯერი: შენ აქ სავსებით ეწერები.

ემა: გიმზადებ საჭმელს და ყველანაირად გასიამოვნებ.

ჯერი: ჭკუის კოლოფი ხარ.

ემა: მე რაღაც-რაღაცეები ვიყიდე ვენეციაში.

ხსნის ფუთას, ამოიღებს სუფრას. შლის მას მაგიდაზე

მოგწონს?

ჯერი: რა მშვენიერია!

პაუზა

ემა: როგორ ფიქრობ, მოგვიწევს ჩვენ ოდესმე ვენეციაში ერთად წასვლა?

პაუზა

სათუოა, ხო?

ჯერი: შენ ფიქრობ, ხუთშაბათს იქნება ეს თუ არახუთშაბათს, მე არ უნდა ვისადილო რობერტთან ერთად ზოგადად, როგორც ასეთი?

ემა: საიდან მოიტანე ეს?

ჯერი: შენ ფიქრობ, რომ მე და ის საერთოდ არ უნდა ვხვდებოდეთ ერთმანეთს?

ემა: მე ეს არ მითქვამს. როგორ შეიძლება, რომ არ შეხვდეთ? სისულელეებს ნუ ამბობ.

პაუზა

ჯერი: მე აქ უშენოდ ჭკუიდან კინაღამ შევიშალე. ვიჯექი, ვიქექებოდი ხელშეკრულებაში იურისტებთან ერთად. და თუ გინდა მომკალი, ვერაფრით გავიხსენე, სად წავიღე შენი წერილი. ვერ ვიხსენებდი, ჩავდე ის სეიფში, თუ არა. მოვიგონე რაღაც საბაბი, შევძვერი სეიფში - არაა წერილი. თან ამ დაწყევლილი ხელშეკრულებით უნდა ვიყო დაკავებული. მე კი თავში მხოლოდ ერთი რამ მიტრიალებს: როგორ დევს ის სადღაც ჩემს სახლში, როგორ ნახულობენ მას...

ემა: ბოლოს იპოვე?

ჯერი: შინ, კარადაში, ქურთუკის ჯიბეში.

ემა: ღმერთო, დიდებულო!

ჯერი: რამდენიმე თვის წინაც - მე ეს შენთვის არ მითქვამს - კიდევ გადამხდა ერთი ისტორია. მე და შენ ერთ მშვენიერ საღამოს შევხვდით ერთმანეთს, ბარში ვისხედით. რვა საათისთვის მე შინ ვიყავი, შევდივარ, ჯუდიტი მეუბნება: სალამი, შენ

დღეს გვიან მოგვიდა შინ მოსვლა. დამნაშავე ვარ, ვეუბნები, სპინკსს შევხვდი, ცოტა დავძლიეთ. სპინკსს?! მეუბნება ის, რა უცნაურია, მან ახლახან დარეკა, სულ ხუთი წუთის წინ, შენთან სურდა ლაპარაკი და სიტყვაც არ დაუძრავს იმაზე, რომ თქვენ შეხვდით. მე ვეუბნები: სპინკსი - უმაქნისია, რა უნდა მოსთხოვო? ალბათ რაიმეს თქმა უნდოდა, შემდეგ დაავიწყდა, ახლა კი გაახსენდა. ახლავე დავურეკავ. ავედი ბავშვებთან, შემდეგ სავახშმოდ დავსხედით.

პაუზა

მომისმინე, თუ გახსოვს, როდის იყო ეს, რამდენიმე წლის წინ? - არ მახსოვს, შობას იყო ეს თუ სხვა დღესასწაულზე? ... არ გახსოვს? - ჩვენ ყველამ თქვენს სამზარეულოში მოვიყარეთ თავი, ბავშვები ფეხებში გვებლანდებოდნენ, მე შარლოტა ავიტაცე ხელში და რამდენჯერმე ავახტუნე ჭერამდე. გახსოვს, როგორ იცინოდა?

ემა: ჩვენ ყველანი ვიცინოდით.

ჯერი: ისეთი მსუბუქი იყო. და იქვე რომ ვიყავით ყველანი შენს სამზარეულოში - შენი ქმარი, ჩემი ცოლი, ჩვენი ბავშვები, ეს ყველაფერი არ ამომდის თავიდან.

ემა: ისე, რომ იცოდე, ეს შენს სამზარეულოში იყო.

ის ჰკიდებს ხელს ემას. დგანან. მიდიან საწოლისკენ.

რა მერე იქიდან, შენ რომ მას ზემოთ აგდებდი?

ეალერსება ჯერის. ეხუტებიან ერთმანეთს.

1973 წელი

მოგვიანებით

სცენა მეშვიდე

რესტორანი. 1973 წლის ზაფხული

მაგიდას უზის რობერტი, სვამს თეთრ ღვინოს. ოფიციანტთან ერთად მას უახლოვდება ჯერი, ჯდება.

ჯერი: სალამი, რობერტ.

რობერტი: სალამი.

ჯერი: (ოფიციანტს). ვისკი ყინულით.

ოფიციანტი: წყალი მოგართვათ?

ჯერი: რა?

ოფიციანტი: განაზავებთ?

ჯერი: არა, წყალი არ უნდა. ყინულით.

ოფიციანტი: გავიგე, სინიორ.

რობერტი: ვისკი? დღისით რომ არ სვამდი ხოლმე ვისკის?!

ჯერი: ცოტა შემცივნულივით ვარ და.

რობერტი: ხოო?

ჯერი: მხოლოდ ვისკი და გადარჩენილი ვარ, სადილზეც გეახელი, საღამოსაც. და ვაგრძელებ სმას ახლაც, სადილზე, დასაზღვევად.

რობერტი: მაშ, მკურნალობის მიზნით.

ჯერი: სწორედაც რომ.

ოფიციანტს მოაქვს ვისკი ყინულით.

გაგიმარჯოს!

რობერტი: შენ გაგიმარჯოს!

ოფიციანტი: ინებეთ მენიუ, სინიორებო.

აწვდის მათ მენიუს, მიდის.

რობერტი: ისე როგორ გიკითხო? გაციებას თუკი არ ჩავთვლით.

ჯერი: მშვენივრად.

რობერტი: სკვოშისთვის კიდევ ვერ მომწიფდი?

ჯერი: ჯერ გავუმკლავდები გაციებას.

რობერტი: შენ თითქოს გაართვი უკვე მას თავი?

ჯერი: აბა, მაშინ რატომ ვსვამ სადილზე ვისკის?

რობერტი: ხო, მართალია. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ვითამაშოთ. ასი წელია არ გვითამაშია.

ჯერი: ამ გახსენებაზე, მაინც რამდენი წლის ხარ?

რობერტი: ოცდათექვსმეტის.

ჯერი: მაშინ მეც ოცდათექვსმეტის გამოვდივარ.

რობერტი: რამდენიცაა, სულ ჩვენი არაა?

ჯერი: სკვოშისთვის ხომ არ დავბერდით?

რობერტი: დამირეკე. უნდა ვითამაშოთ.

ჯერი: როგორ იყო ვენეციაში?

ოფიციანტი: შეკვეთა გამიმზადეთ, სინიორებო?

რობერტი: შენ რას აიღებ?

ჯერი: ნესვს. და piccata al limone მწვანე სალათით.

ოფიციანტი: In salaTa verde. Prosciutto e melone?

ჯერი: არა, ნესვი მხოლოდ; ყინულით.

რობერტი: მე კი ავიღებ Prosciutto-ს და ნესვს. შემწვარ scampi-ს. და ისპანახს.

ოფიციანტი: spinaci, Grazie, signore.

რობერტი: სწრაფად მოიტანეთ „კორვო ბიანკო“.

ოფიციანტი: Si signore. Molto grazie.

მიდის

ჯერი: ეს აქაური ვეტერანია თუ მისი ვაჟი?

რობერტი: შენ გინდა თქვა, რომ მისი ვაჟიც აქაური ვეტერანია?

ჯერი: არა, რას ამბობ! მე მაინტერესებს, ეს არის თუ არა ვაჟი იმისი, ვინც მთელი სიცოცხლე აქ მუშაობს?

რობერტი: ხოო, არა. ეს მისი მამაა.

ჯერი: ჰმმ ... მამა?

რობერტი: მოკლედ, ეს ისაა, რომელიც მშვენიერ იტალიურს ფლობს.

ჯერი: გავიგე. შენ ისევ ისე მშვენივრად საუბრობ იტალიურად?

რობერტი: საიდან მოიტანე?

ჯერი: შენ მშვენივრად ლაპარაკობ იტალიურად.

რობერტი: არა, ეს ემა ლაპარაკობს ძალიან კარგად იტალიურად.

ჯერი: მართლა? არ ვიცოდი.

ბოთლით უახლოვდება ოფიციანტი.

ოფიციანტი: „კორვო ბიანკო“, სენიორ.

რობერტი: მადლობა.

ჯერი: ხო, მაინც როგორ იყო იქ, ვენეციაში?

ოფიციანტი: ვენეცია, სინიორებო? ვენეცია - ეს მშვენიერია. ეს ყველაზე ლამაზი ქალაქია იტალიაში. ხედავთ ამ სურათს კედელზე? ეს ვენეციაა.

რობერტი: ნამდვილად ვენეციაა.

ოფიციანტი: იცით, რა არაა ვენეციაში?

ჯერი: რა?

ოფიციანტი: Traffico.

ღიმილით სცილდება მათ.

რობერტი: გაგიმარჯოს!

ჯერი: შენ გაგიმარჯოს!

რობერტი: როდის იყავი იქ ბოლოს?

ჯერი: ძალიან დიდი ხნის წინ.

რობერტი: რას შვრება ჯუდიტი?

ჯერი: რა, ჯუდიტი? თითქოს კარგად, ო'კეი. მუშაობს.

რობერტი: ბავშვები?

ჯერი: ნორმალურად. სემი, მართალია, დაეცა ...

რობერტი: მერე?

ჯერი: საშიში არაფერია. მაშ, რას იტყვი ვენეციაზე?

რობერტი: მე კარგად არ მახსოვს: შენ და ჯუდიტი ნამყოფი ხართ იქ?

ჯერი: უკვე ძალიან დიდი ხანია, აღარ ვყოფილვართ.

პაუზა

შარლოტა რას შვრება? მოეწონა იქაურობა?

რობერტი: ვფიქრობ, მოეწონა.

პაუზა

მე მომეწონა.

ჯერი: ბრწყინვალეა!

რობერტი: ტორჩელოზეც ვიყავი.

ჯერი: მართლა? შესანიშნავი ადგილია.

რობერტი: ფანტასტიური დღე იყო. ავდექი გარიჟრაჟზე - ჟჟჟ ... და პირდაპირ ტორჩელოზე. ძეხორციელიც არ იყო ირგვლივ.

ჯერი: ეს როგორ - ჟჟჟ?

რობერტი: კატერით.

ჯერი: ააა. მე კი ვიფიქრე ...

რობერტი: რა?

ჯერი: რამდენი ხანია გასული მას მერე, მე შეიძლება ვცდებოდე. მე მეგონა, რომ ტორჩელოზე გონდოლებით ხვდებოდნენ.

რობერტი: გონდოლით რამდენიმე საათი უნდა იქამდე. აქ კი ჟჟჟ ... კატერით.

ჯერი: სიმპათიურია.

რობერტი: მე მარტო ვიყავი.

ჯერი: ემა?

რობერტი: მე მგონი, ეძინა.

ჯერი: ააა!

რობერტი: რამდენიმე საათი სულ მარტო გავჩერდი კუნძულზე. არსებითად, ეს იყო მთელი მგზავრობის აპოთეოზი.

ჯერი: მართლა? გადასარევია.

რობერტი: ვიჯექი ბალახზე და ვკითხულობდი იეტსს.

ჯერი: იეტსი ტორჩელოზე?

რობერტი: ბრწყინვალე შეთავსებაა.

ოფიციანტს მოაქვს, რაც იყო შეკვეთილი.

ოფიციანტი: ერთი ნესვი. Presciutto და ნესვი.

რობერტი: Presciutto - მე.

ოფიციანტი: Buon appetito.

რობერტი: ემა ერთი შენი მეგობრის რომანს კითხულობდა ... იმისი, რა ჰქვია ...

ჯერი: მაინც რომლის?

რობერტი: სპინკსის.

ჯერი: ააა, სპინკსის ... რომელიც შენ არ მოგეწონა.

რობერტი: რომელიც მე არ გამოვეცი.

ჯერი: მახსოვს. ემას მოეწონა?

რობერტი: ჭკუას კარგავს იმისთვის.

ჯერი: სწორია.

რობერტი: შენც მოგწონს, მგონი, არა?

ჯერი: მომწონს.

რობერტი: მკითხველებს შორისაც წარმატებით სარგებლობს?

ჯერი: უზარმაზარი წარმატებით.

რობერტი: მისმინე, ეს რაზე მეტყველებს: რომ მე ვარ არქიმომთხოვნი გამომცემელი თუ უბრალოდ უგუნური?

ჯერი: უბრალოდ უგუნური.

რობერტი: გეთანხმები. მე ძალიან უგუნური გამომცემელი ვარ.

ჯერი: სულაც არა. რეებს ჩმახავ? შენ კარგი გამომცემელი ხარ. რეებს ჩმახავ?

რობერტი: მე ცუდი გამომცემელი ვარ იმიტომ, რომ მე ვერ ვიტან წიგნს. უფრო ზუსტად - პროზას. უფრო ზუსტად - თანამედროვე პროზას, ხოლო მთლად ზუსტად - თანამედროვე რომანს, როცა პირველ მერცხალს უცებ მეორე მოჰყვება, შენ კი კეთილი უნდა ინებო და უნდა აქო ეს ნიჭიერება, უნდა დაჰკანკალებდე ზედ, გარისკო და ახარჯო ფულები, დაადგე თავზე და არ შეეშვა, მანამ მესამეს არ გამოაფრენს, იხლაფორთე, ილოცე, ხელშეკრულება რომ დადოს; თვალყური ადევნე, რომ ბედით

განებივრებულმა იმუშაოს სულის ამოხდომამდე, - და ეს ყველაფერი, ერთიც დამიხედეთ, ლიტერატურის გამო. იცი რა გაქვთ შენ და ემას საერთო? ორთავეს ლიტერატურა გიყვართ. უფრო სწორად, თანამედროვე პროზა, თქვენ გიყვართ ახალი კეისისა თუ სპინკსის ახალი რომანი. თქვენ ამის გარეშე ცხოვრება არ შეგიძლიათ.

ჯერი: მე მგონი, შენ ზედმეტი დალიე.

რობერტი: ასე ფიქრობ? შენ ფიქრობ, ემას შეუძლია უამისოდ ცხოვრება?

ჯერი: მე საიდან ვიცი? ის შენი ცოლია.

პაუზა

რობერტი: სწორია. შენ მართალი ხარ, არ იყო საჭირო შენთან მოთათბირება. საერთოდ არაა საჭირო ვინმესთან მოთათბირება.

ჯერი: მე წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, კიდევ დაგველია.

რობერტი: კი, ბუნებრივია, ოფიციანტო! კიდევ ერთი ბოთლი „კორვო ბიანკო“. სადილი სადღაა? ეს სასადილო სულ წავიდა ხელიდან. მაგრამ ვენეციაში, ნუღარ იტყვი, კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა! იქ საერთოდ ფეხებზე ჰკიდიათ ყველაფერი. მე არ დავმთვრალვარ. „კორვო ბიანკო“-თი არ თვრებიან. მომისმინე ... გუშინ საღამოს ... მე დიდხანს შევრჩი ... ვერ ვიტან კონიაკს ... თანამედროვე ლიტერატურის სუნი აქვს. მაპატიე, თუ შეიძლება ...

მოდის ოფიციანტი ბოთლით.

ოფიციანტი: „კორვო ბიანკო“.

რობერტი: მე ამავე ჭიქაში, სადაა ჩვენი სადილი?

ოფიციანტი: ახლავე იქნება.

რობერტი: მე თავად დავასხამ.

ოფიციანტს მიაქვს ჭუჭყიანი თეფშები. მიდის.

მართლა, არ გეწყინოს. მომეცი შენი ჭიქა. მე შენ აგიხსნი, როგორია საქმის ვითარება. მე ლონდონში ადგილს ვეღარ ვნახულობ. მე ბედნიერება დამატყდა თავზე - ოღონდ არა ვენეციაში, რა თქმა უნდა, არამედ ტორჩელოზე, როცა მე იქ სრულიად მარტოდმარტო დავეხეტებოდი, - ნამდვილი ბედნიერება, მე ვოცნებობდი იქ სამუდამოდ დარჩენაზე.

ჯერი: ჩვენ ყველანი ...

რობერტი: ხო, ჩვენ ყველანი ზოგჯერ ... შენც გემართება ხოლმე ასეთი რამ, არა?

პაუზა

თუმცა, თითქოს ცუდი არაფერი ხდება. არსებობს ოჯახი. ემასთან მშვენიერი ურთიერთობა მაქვს. მე მას დიდ პატივს ვცემ. და, თუ გინდა იცოდე, მე კეისს პირველი კლასის მწერლად ვთვლი.

ჯერი: მართლა?

რობერტი: პირველი კლასის. ვამაყობ, რომ ის სწორედ მე გამოვეცი, და შენ რომ აღმოაჩინე, შენ უბრალოდ ძალიან ყოჩაღი ხარ!

ჯერი: გმადლობ.

რობერტი: შენ გაქვს ყნოსვა, შენ გაქვს აღმოჩენის უნარი და მე ვაფასებ ამას შენში. ემაც აფასებს. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ამ თემაზე.

ჯერი: ემა რას შვრება?

რობერტი: ბრწყინვალედაა. იქნებ შემოგევლო, გამოგვიარე, იქნებ გამოხვიდე, დავსხდებოდით. მას ძალიან ესიამოვნება შენი დანახვა.

1971 წელი

სცენა მერვე

ბინა. 1971. ზაფხული

ოთახში არავინაა. სამზარეულოს კარი ღიაა. მაგიდაზე აწყვია სუფრის ჭურჭელი, თეფშები, ჭიქები, ერთი ბოთლი ღვინო.

იღება შემოსასვლელი კარი, გამოჩნდება ჯერი გასაღებით.

ჯერი: სალამი!

ემა: (სამზარეულოდან) სალამი!

ემა სამზარეულოდან გამოდის. წინსაფრითაა.

მე ეს წუთია, რაც შემოვედი. თუმცა კი გაცილებით ადრე უნდა მივსულიყავი: მე ხომ ხორცს ვშუშავ. ამას საათები უნდა.

ჯერი კოცნის მას.

მშიერი ხარ?

ჯერი: კი.

კიდევ კოცნის მას.

ემა: შენ არ ხუმრობ? ის როგორ მოგისწრებს! დაჯექი. წავალ, დავაჩქარებ.

ჯერი: რა მომხიბლავი წინსაფარია.

ემა: ჩემო ჭკუის კოლოფო!

კოცნის ჯერის, მიდის სამზარეულოში. იქიდან ელაპარაკება ჯერის,

რომელიც აქეთაა და ღვინოს ისხამს.

რას აკეთებდი?

ჯერი: პარკში გავისეირნე.

ემა: ჰოდა, როგორი იყო?

ჯერი: სილამაზეა. წარმოიდგინე, ახლომახლო ძეხორციელი არაა. წვიმა ცრის.

პაუზა

ვზივარ ხის ძირში. სამარისებური სიჩუმეა. გავყურებ სერპანტინს[1].

პაუზა

ემა: მერე?

ჯერი: შემდეგ ავიყვანე ტაქსი და მოვედი უესეკს-გროუვამდე, ვიპოვე სახლი # 31. მოვუახლოვდი სადარბაზოს. გავაღე კარი, ამოვუყევი კიბეს, ისევ გავაღე კარი და აღმოგაჩინე შენ ახალ წინსაფარში გამოწყობილი ხორცს რომ შუშავ.

ემა გამოდის სამზარეულოდან.

ემა: ჯერ არ მოშუშულა.

ჯერი: რომელიც კიდევ და კიდევ იშუშება.

ემა ისხამს თავისთვის არაყს.

არაყი? დღისით?

ემა: რატომღაც მომინდა.

სვამს.

გუშინ ჯუდიტი შემხვდა. გითხრა?

ჯერი: არა.

პაუზა

სად?

ემა: სადილზე.

ჯერი: სადილზე?

ემა: მას მართლა არაფერი უთქვამს?

ჯერი: არაფერი.

ემა: საინტერესოა.

ჯერი: მაინც სად? შენ სად სადილობდი?

ემა: კაფეში: „ფორტნუმი და მეისონი“.

ჯერი: „ფორტნუმი და მეისონი“? რა ეშმაკმა შემოიყვანა იქ?

ემა: ვიღაც ქალბატონთან ერთად სადილობდა.

ჯერი: ქალბატონთან?

ემა: კი

პაუზა

[1] ხელოვნური ტბა ჰაიდ-პარკში - პლიაჟით და ნავთსადგურით.

ჯერი: მისი საავადმყოფოდან `ფორტნუმი და მეისონი~ არც ისე ახლოა.

ემა: და არც ისე შორსაა.

ჯერი: კი ... ალბათ.

პაუზა

შენ კი?

ემა: რა - მე?

ჯერი: შენ რაღა გინდოდა `ფორტნუმ და მეისონში~?

ემა: დასთან ერთად ვსადილობდი.

ჯერი: ხოოო.

პაუზა

ემა: მაშ, ჯუდიტს არაფერი უთქვამს?

ჯერი: მართალი გითხრა, მე წესიერად ის არც კი მინახავს. გუშინ გვიან დავბრუნდი, კეისთან შეხვედრის შემდეგ. ამ დილით კი ის ადრე წავიდა.

ემა: შენ არ ფიქრობ, რომ მან იცის?

ჯერი: რა იცის?

ემა: ჩვენზე.

ჯერი: არა მგონია.

ემა: შენ დარწმუნებული ხარ?

ჯერი: ის ძალიანაა დაკავებული. საავადმყოფო, ბავშვები. მას დაფიქრებისთვისაც კი არ რჩება დრო.

ემა: მამხილებელი საბუთები? მას არასდროს გასჩენია მათში გარკვევის სურვილი?

ჯერი: რა მამხილებელი საბუთები, რისი მამხილებელი?

ემა: ჰმ ... რაიმე, ყოველთვის მოიძებნება რაიმე ისეთი ...

ჯერი: მას ასეთი არა აქვს.

ემა: მაშინ ... კარგი.

პაუზა

ჯერი: მას თაყვანისმცემელი ჰყავს.

ემა: მართლა?

ჯერი: ისიც ექიმია, მას ხანდახან ის კაფეში დაჰყავს. ეს ... ჩემს ნერვებზე მოქმედებს. ის ამბობს, რომ ყველაფერი იმით შემოიფარგლება, რომ ის მოსწონს მას, იმასაც მოსწონს ის, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ ... აი, სწორედ ესაა, ალბათ, რაც ნერვებს მიშლის. მე არ ვიცი ზუსტად, რა ხდება.

ემა: მაინც, კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა ჰყავდეს თაყვანისმცემელი? მე, მაგალითად, მყავს.

ჯერი: ეს ვინღაა?

ემა: გამარჯობა. მე მგონი, შენ.

ჯერი: ა, ხო!

ჩაჰკიდებს ხელს ემას.

მე მეტი ვარ, ვიდრე ის, რასაც თაყვანისმცემელი ჰქვია.

პაუზა

ემა: მაინც მითხარი ... შენ არასდროს მოგისურვებია ... შეგეცვალა შენი ცხოვრება?

ჯერი: შემეცვალა?

ემა: დიახაც.

ჯერი: ეს შეუძლებელია.

პაუზა

ემა: შენ არ ფიქრობ, რომ ის არ იყო შენი ერთგული, რომ გღალატობდა?

ჯერი: არა, არ ვიცი.

ემა: ახლა, მაგალითად, როცა შენ ამერიკაში იყავი?

ჯერი: არა.

ემა: თავად შენ ღალატობდი?

ჯერი: ვის?

ემა: მე, რა თქმა უნდა.

ჯერი: არა.

პაუზა

თავად შენ მე?

ემა: არა

პაუზა

მაინც მას რომ შენთვის ეღალატა, შენ როგორ მოიქცეოდი?

ჯერი: ეს ხომ მისთვის დამახასიათებელი არაა. ის დაკავებული ადამიანია. მას ათასი საქმე აქვს. ის ძალიან კარგი ექიმია. მას ყველაფერი აქვს. ბავშვები უყვარს.

ემა: თუ არ ჩავთვლით...

ჯერი: მე ვუყვარვარ.

პაუზა

ემა: თუ არ ჩავთვლით...

ხანგრძლივი პაუზა

ჯერი: ეს არაა ლიტონი სიტყვები.

ემა: რა თქმა უნდა.

ჯერი: მე კი შენზე ვგიჟდები.

პაუზა

ვგიჟდები!

ემა ჰკიდებს მას ხელს

ემა: მე ვიცი.

პაუზა

მომისმინე. მე რაღაც უნდა გითხრა.

ჯერი: ხო?

ემა: მე ფეხმძიმედ ვარ. ეს მაშინ მოხდა, როცა შენ ამერიკაში იყავი. თუ შეიძლება, ვინმე სხვაზე ნუ იფიქრებ. ეს ჩემი ქმარია.

პაუზა

ჯერი: ხო, ხო, გასაგებია,

პაუზა

გულწრფელად ძალიან მიხარია!

1968 წელი

სცენა მეცხრე

რობერტის და ემას სახლში. საძინებელი ოთახი. 1968. ზამთარი. ოთახში ნახევრად ბნელა. ბნელ კუთხეში ძლივს გაარჩევ ჯერის. კარს იქიდან სუსტად აღწევს მუსიკის ჰანგები.

კარი იღება, რითიც შემოიჭრება შუქისა და მუსიკის ნაკადები, შემოდის ემა. გამოიხურავს კარს. მიდის სარკესთან, დაინახავს ჯერის.

ემა: ღმერთო ჩემო!

ჯერი: შენ გელოდები!

ემა: ეს როგორ გავიგოთ?

ჯერი: ვიცოდი, რომ მოხვიდოდი.

სვამს

ემა: მე უბრალოდ დასავარცხნად შემოვირბინე.

ჯერი დგება

ჯერი: მე ყველაფერი გამოვთვალე. მე ვიცოდი, რომ შენ დაგჭირდებოდა დავარცხნა. და რომ შენ მოწყდებოდი თავყრილობას.

ემა უახლოვდება სარკეს, ივარცხნის თმას, ჯერი უახლოვდება მას.

შენ ლამაზი დიასახლისი ხარ.

ემა: შენ მოგწონს დღეს აქ, ჩვენთან?

ჯერი: ლამაზი.

უახლოვდება მას

მომისმინე. მთელი საღამო გიმზერდი. მე შენ უნდა გითხრა, მე მინდა შენ გითხრა, მე მოვალე ვარ, გითხრა...

ემა: ჯერი, არ გინდა.

ჯერი: შენ სასწაული ხარ.

ემა: შენ მთვრალი ხარ.

ჯერი: ამას არა აქვს მნიშვნელობა.

ეხვევა მას მხრებზე

ემა: ჯერი.

ჯერი: მე მეჯვარე ვიყავი შენს ქორწილში. გნახე შენ თეთრებში. როგორ გოგმანებდი შენ თეთრებში.

ემა: მე არ ვყოფილვარ თეთრებში.

ჯერი: იცი, როგორ უნდა მომხდარიყო?

ემა: როგორ?

ჯერი: მე უნდა დაგუფლებოდი შენ თეთრებში ქორწილამდე. დამელაქავებინე შენ, თეთრი, საქორწინლოდ გამზადებული და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ვყოფილიყავი შენი მეჯვარე.

ემა: მეჯვარე ქმრის მხრიდან. შენი საუკეთესო მეგობრის.

ჯერი: არა, შენი მეჯვარე.

ემა: მე უნდა წავიდე.

ჯერი: შენ მშვენიერი ხარ. მე ჭკუას ვკარგავ შენთვის. მე ვამბობ სიტყვებს, რომლებიც არავის არავისთვის უთქვამს. განა შენ არ გესმის? ვგიჟდები. ეს რაღაცნაირი სმერჩია. შენ ყოფილხარ როდისმე საჰარაში? მისმინე. ეს სიმართლეა. მომისმინე, შენ ბოლომდე დამიპყარი მე. შენ ისეთი მშვენიერი ხარ!

ემა: სულაც არაფერი განსაკუთრებული.

ჯერი: ისეთი ლამაზი, ნახე, როგორ მიყურებ.

ემა: მე სულაც ... არ გიყურებ შენ.

ჯერი: ნახე, როგორ მიყურებ მე. მე მთლად ვიწვი. ფეხქვეშ მიწაგამოცლილი, გასრესილი... შენ დამაბრმავე, ჩემო უძვირფასესო, მე დაძინებას ვეღარ შევძლებ აწი, მომისმინე, ეს მართლა ასეა, მე ვერ შევძლებ ფეხების გადანაცვლებას, წავიქცევი, ჩვარივით დავვარდები, შენ გიპყრია ხელთ ჩემი სიცოცხლე, შენ მიმაბარებ მე სტუპორს - შენ იცი, რა არის სტუპორი? ეს ნიშნავს - იყო სიცარიელეში, იყო არარა, იყო მარტოსული. მე შენ მიყვარხარ!

ემა: კარს უკან ჩემი ქმარია.

ჯერი: სიტყვებით ეს ყველამ იცის. მთელმა სამყარომ იცის. სინამდვილეში კი არავინ იცის. და ვერც გაიგებს. ისინი სხვა სამყაროში ცხოვრობენ. მე შენ გაღმერთებ. მე გონება დამაკარგვინა შენდამი სიყვარულმა. და თუკი ვინმე რაიმეს ამბობს ამ წუთას, მე არავის და არაფერს დავუჯერებ. მათ არაფერი ჰქონიათ. არ ჰქონიათ. თუ არის საერთოდ რაიმე, ეს ის არის, რაც მხოლოდ ჩვენია, რაც ჩვენ გვაქვს. შენი თვალები დამღუპავენ მე. შენ მშვენიერი ხარ!

ემა: არა.

ჯერი: კი.

კოცნის ემას.

ის უსხლტება.

ჯერი ისევ კოცნის.

ხმამაღალი სიცილი კარს უკან.

ის უსხლტება.

იღება კარი. ზღურბლზე რობერტია.

ემა: შენი საუკეთესო მეგობარი უზომოდ მთვრალია.

ჯერი: რამდენადაც შენ ჩემი საუკეთესო და ყველაზე ძველი მეგობარი ხარ, და დღეს კი თან მასპინძელიც, მე გადავწყვიტე, არ გამეშვა ხელიდან შემთხვევა და ვუთხარი შენს ცოლს, რა ლამაზია ის.

რობერტი: სწორია. ასეა.

ჯერი: რა თქმა უნდა, სწორია ... უყურო სიმართლეს თვალებში ... მოურიდებლად, გულის სიღრმეში გამოტყდე - ეს არაა აკრძალული.

რობერტი: არავითარ შემთხვევაში.

ჯერი: შენ ყველაფერი მშვენივრად აგეწყო, მშვენიერია, ის რომ ასეთი ლამაზია.

რობერტი: სწორია.

ჯერი უახლოვდება რობერტს, ხელკავს გამოსდებს მას.

ჯერი: ამას მე გეუბნები, როგორც შენი ყველაზე ძველი მეგობარი. როგორც შენი მეჯვარე.

რობერტი: ყველაფერი სწორია.

ენერგიულად ჩაავლებს ხელს მხარში, შემობრუნდება და გადის ოთახიდან. ემა მიდის კართან. ჯერი ჩაჰკიდებს მას ხელს, აჩერებს. ორივენი დგანან და უმზერენ ერთმანეთს თვალებში.